გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№41 (1731) 4 — 10 დეკემბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

რა ქონებას ფლობს მიხეილ ყაველაშვილი

ყოფილი ფეხბურთელის ქონებრივი დეკლარაცია

„ჰარი პოტერის" თაობა „ნუ პაგადის" თაობის წინააღმდეგ

რატომ გამოვიდნენ ახალგაზრდები ქუჩაში – ნოემბრის ამბოხის ანატომია

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

როგორია დიპლომატების ანაზღაურება საქართველოში

საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი და ეკონომიკური დიპლომატია

რა წერია და როდის გაფორმდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია

15 წლის წინ შედგენილი დოკუმენტის სრული ტექსტი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციაზე თავდასხმის ბრალდებით, ერთი პირი – 1987 წელს დაბადებული თ.ზ. დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის პირველ დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე, აქციის მიმდინარეობისას, ბრალდებულის მიერ სამართალდამცველების მისამართით ნასროლი ე.წ. მოლოტოვის კოქტეილით, სამინისტროს ბალანსზე რიცხული წყლის ჭავლის ავტომობილი დაზიანდა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში, მიმდინარე აქციების ფარგლებში, ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან ჩადენილ ყველა დანაშაულებრივ ქმედებაზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე და 353-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც ამ დროისთვის დაკავებულია ხუთი პირი.

თავდასხმა პოლიციელზე – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციაზე თავდასხმის ბრალდებით, 1972 წელს დაბადებული დ.ლ. დააკავეს.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 1 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე გამართული აქციის დროს, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილი ისროლა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიმართულებით, რის შედეგადაც დაზიანდა სამინისტროს ბალანსზე არსებული წყლის ჭავლის ავტომობილი.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ბრალდებული თბილისში დააკავეს.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროში, მიმდინარე აქციების ფარგლებში, ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან ჩადენილ ყველა დანაშაულებრივ ქმედებაზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე და 353-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რომლის ფარგლებშიც, ამ დროისთვის დაკავებულია ოთხი პირი. გრძელდება გამოძიება დანაშაულის ჩამდენი ყველა პირის დადგენისა და დაკავების მიზნით. თითოეულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, პოლიციის მხრიდან შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნივთის დაზიანების ბრალდებით, ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ქურდობისთვის, ქურდობის მცდელობისთვის, ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1997 წელს დაბადებული ა.მ. ცეცხლის წაკიდებით, ნივთის დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრია, მიმდინარე წლის 29 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე, აქციის მიმდინარეობისას, ცეცხლი წაუკიდა პარლამენტის შენობის ბოძზე დამონტაჟებულ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ის ბალანსზე რიცხულ ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ელექტრო სადენებს და კვების ბლოკს, რითაც დაზიანდა და მწყობრიდან გამოვიდა აღნიშნული მოწყობილობა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ა.მ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან კამპანიას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ტრადიციულად უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიას.

უწყებისთვის მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების დროული გამოვლენა და მათზე ეფექტიანი რეაგირება, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, მომართვიანობის ზრდა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების დახვეწა და გაუმჯობესება.

უწყებაში, მსხვერპლთა დაცვის მიზნით, მოქმედ პრევენციულ მექანიზმებს წარმოადგენს – ძალადობის განმეორების რისკების შეფასების ინსტრუმენტი, მასზე მიბმული მყისიერი და ოპერატიული რეაგირების მექანიზმი – შემაკავებელი ორდერი, ელექტრონულ ზედამხედველობის სისტემა და შემაკავებელი ორდერის მონიტორინგი. 2023 წლის მაისში, ამოქმედდა განახლებული რისკების შეფასების ინსტრუმენტი. შედეგად, თანხმობის შემთხვევაში, უფრო მეტ მსხვერპლს მიეცა შესაძლებლობა, ისარგებლოს ელექტრონული ზედამხედველობის მექანიზმით. ცვლილებების განხორციელების შედეგად, 2023 წლის პირველი მაისიდან 2024 წლის 25 ნოემბრის ჩათვლით, 180 შემთხვევაში, მსხვერპლის თანხმობით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოძალადის მიმართ დაწესებულიყო ელექტრონული ზედამხედველობა მაშინ, როდესაც 2020 წლიდან 2023 წლის მაისამდე – ეს რიცხვი 44-ს შეადგენდა.

2023 წლის 8 ნოემბრის დასკვნაში, ევროკომისიამ დადებითად შეაფასა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რისკების შეფასების ინსტრუმენტის განახლება და ეფექტიანობის გაზრდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში, ფუნქციონირებს უმნიშვნელოვანესი დანაყოფი, ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც 2024 წლის პირველი მაისიდან, გაფართოებული მანდატით განაგრძობს საქმიანობას. დეპარტამენტის სპეციალიზებული თანამშრომლები, ყოველდღიურ რეჟიმში ამონიტორინგებენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სამართალწარმოების ხარისხს, მონიტორინგის პროცესში წამოჭრილი ხარვეზებისა და მიგნებების გამოვლენისას, მათ აღმოსაფხვრელად შეიმუშავებენ რეკომენდაციებს და უზრუნველყოფენ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის მათ ხელმისაწვდომობას, ასევე, მუდმივ რეჟიმში ახორციელებენ სამართალდამცავთა გადამზადებას.

კამპანიის განმავლობაში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მომართვიანობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტისა და საპოლიციო დანაყოფების წარმომადგენლებს დაგეგმილი აქვთ არაერთი ღონისძიება და აქტივობა.

„ჰარი პოტერის“ თაობა „ნუ ჰაგადის“ თაობის წინააღმდეგ

ნინო დოლიძე

რატომ გამოვიდნენ ახალგაზრდები ქუჩაში – ნოემბრის ამბოხის ანატომია

პროტესტისა და აქციების მეტი რა გვინახავს, მაგრამ ის, რაც ბოლო დღეებში ხდება, მრავალჭირნახული ერისთვისაც კი უცნაურია ანუ ქუჩაში ხალხი, უმეტესად, ახალგაზრდიბა ვინმეს მოწოდებით კი არა, საკუთარი სურვილით და ინიციატივით გამოვიდა. მეტიც, თითქმის კვირაა, აქციები იმართება, მაგრამ იმართება ისე, რომ იგივე რუსთაველზე, არც ტრუბუნა დგას, არც სიტყვით გამომსვლელები არიან და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, აჯანყებული ახალგაზრდები ოპოზიციას საშუალებას არ აძლევენ, რომ თავკაცის მანტია მოირგოს. ეს კარგია თუ ცუდი, სხვა საუბრის თემაა. ამჯერად, „ვერსია“ პროტესტის ანატომიას გთავაზობთ, იმ პროტესტისას, რომელსაც სოციალურ ქსელში, ზოგი „ფოიერვერკების რევოლუციას“ უწოდებს. ისე, ესეც „ნოუ ჰაუა“ – ახალგაზრდები სპეცრაზმელების მისამართით ფოიერვერკებს უშვებენ.

და მაინც, რატომ გამოვიდა უამრავი ახალგაზრდა ქუჩაში – მართლაც, წაკითხულისა და მოსმენის გააზრების პრობლემაა, თუ, როგორც იტყვიან, ძაღლის თავი სხვაგან არის დამარხული?!

მოდით, მივყვეთ მოვლენათა განვითარების ქრონოლოგიას:

28 ნოემბერს, საღამოს, პრემიერი ირაკლი კობახიძე საგანგებო ბრიფინგს მართავს და განცხადებას აკეთებს, რომლის თანახმადაც, ხელისუფლება 2028 წლის ბოლომდე ევროკავშირთან მოლაპარაკებებს წყვეტს:

„დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე, დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი. ასევე, 2028 წლის ბოლომდე, უარს ვამბობთ ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე ევროკავშირის მხრიდან. 2028 წლის ბოლო არის ის დრო, როცა საქართველო იქნება ეკონომიკური თვალსაზრისით სათანადოდ მომზადებული, რათა გახსნას მოლაპარაკებები 2030 წელს, ევროკავშირში გასაწევრიანებლად...

საქართველო არის ევროპული ქვეყანა, რომლისთვისაც ორგანული და ძვირფასია ტრადიციული ევროპული ღირებულებები. როგორც უძველესი ქრისტიანული ქვეყანა, საქართველო ყოველთვის იყურებოდა ევროპისკენ, როგორც ქრისტიანობის დაცვის მთავარი ბასტიონისკენ. ჩვენ ვართ ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას ქვეყანა, რომლებმაც ევროპული ღირებულებები ქართული სამოქალაქო აზროვნების ლაიტმოტივად აქციეს.

ჩვენი პასუხისმგებლობაა საქართველოს ისტორიისა და ჩვენი დიდი წინაპრების წინაშე, საქართველო ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრად ვაქციოთ. შესაბამისად,

ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, საქართველო 2030 წელს გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რისთვისაც ძალისხმევას არ დავიშურებთ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები, თავისი შინაარსით, ორმხრივია და მხოლოდ ორმხრივი შეიძლება იყოს. ჩვენ ვართ ამაყი და თავმოყვარე ერი დიდი ისტორიით. შესაბამისად, ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია, ევროკავშირში ინტეგრაცია განვიხილოთ, როგორც მოწყალება, რომელიც ევროკავშირმა ჩვენთვის უნდა გაიღოს. მეტიც, მიგვაჩნია, რომ საქართველოს, თავისი მდიდარი კულტურითა და პოტენციალით, ზუსტად ისევე შეუძლია გაამდიდროს ევროკავშირი, როგორც ევროკავშირს შეუძლია, გაამდიდროს საქართველო.

ამ ფონზე, ქართველი ხალხისთვის კატეგორიულად მიუღებელია, ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილის მცდელობა, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ცალმხრივ მოვლენად წარმოაჩინონ. კიდევ უფრო მიუღებელია შეურაცხყოფების მთელი კასკადი, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში, ამ ადამიანებისგან ვისმენთ.

ჩვენი ქვეყნის არაკეთილმოსურნეებმა ევროპარლამენტი აქციეს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟის შიშველ იარაღად, რაც ევროკავშირის უდიდესი სირცხვილია. ევროპარლამენტმა გასული სამი წლის მანძილზე მიიღო სიცრუითა და შეურაცხყოფით სავსე 5 რეზოლუცია, რომლებიც არათუ ქართულმა საზოგადოებამ, ევროკომისიამ და ევროპულმა საბჭომაც კი არ გაიზიარეს.

სრულიად საქართველო იყო საპარლამენტო არჩევნებში ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილის ჩარევის მომსწრე, რაც დემოკრატიული საარჩევნო პრინციპების უხეში დარღვევაა. დღეს კი იგივე ადამიანები ლეგიტიმურ არჩევნებს თავს ესხმიან. მეტიც, ისინი ზუსტად ისეთივე შემართებით ესხმიან თავს ეუთო/ოდირის არჩევნების შემფასებელ მისიას, რომელმაც არჩევნები კონკურენტულად შეაფასა, როგორც ამას საქართველოში რადიკალური ოპოზიციის ლიდერები აკეთებენ.

ასევე, ვხედავთ, რომ ევროპელი პოლიტიკოსები და ბიუროკრატები გამოყოფილ გრანტებსა და სესხებს საქართველოს წინააღმდეგ შანტაჟისთვის იყენებენ. ყველას გვახსოვს, როგორ გეგმავდნენ 2021 წლის არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე, საქართველოსთვის 75 მილიონი ევროს მოცულობის სესხის გაუქმებას, რათა ამით არჩევნებზე არალეგიტიმური გავლენა მოეხდინათ. მსგავსი ნაბიჯი გადაიდგა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც, თუმცა ამან ქართველი ხალხის არჩევანზე ვერავითარი გავლენა ვერ იქონია. ფულის შანტაჟისთვის გამოყენებაც არის შეურაცხმყოფელი პრაქტიკა, რომელიც თავმოყვარე ქართველი ხალხისთვის არასოდეს გახდება მისაღები.

ყველას გვახსოვს ისიც, თუ როგორ იქნა გამოყენებული კანდიდატის სტატუსის საკითხი საქართველოს დასაშანტაჟებლად, ქვეყანაში არეულობის შემოსატანად და საზოგადოების გასახლეჩად. უკრაინაში ომის დაწყების ფონზე, იმ დროს, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა სიმშვიდე, ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილმა კანდიდატის სტატუსის თემა ქვეყანაში რევოლუციის მოწყობის მცდელობისთვის გამოიყენა. აღნიშნულ რევოლუციის მცდელობაში ღიად იყვნენ ჩართული ორგანიზაციები, რომლებიც ევროკავშირიდან იღებენ დაფინანსებას. თითქმის ორი წლის განმავლობაში, კანდიდატის სტატუსის თემა გამოიყენებოდა საქართველოში რადიკალიზმისა და ე.წ. პოლარიზაციის გაღვივების მთავარ ინსტრუმენტად, რაც საქართველოს მიმართ არაჯანსაღ დამოკიდებულებაზე კიდევ ერთხელ მეტყველებს.

ახლა კი ვხედავთ, რომ ამ ადამიანებმა კანდიდატის სტატუსი მოლაპარაკებების გახსნით ჩაანაცვლეს. მოლაპარაკებების გახსნა დღეს ზუსტად ისევე გამოიყენება

დასასრული მე-5 გვერდზე

რა ქონებას ფლობს მიხეილ ყაველაშვილი

ყოფილი ფეხბურთელის ქონებრივი დეკლარაცია

მაკა რუხაძე

„ის თავისი ბუნებით, გნებავთ, ჰაბიტუსითაც, არის ქართველი კაცის საუკეთესო განსახიერება. შესანიშნავი მეუღლე და ოთხი შვილის მამაა“, – ასე წარადგინა მიხეილ ყაველაშვილი საქართველოს რიგით მეექვსე პრეზიდენტად, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა. დიახ, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და ახლა უკვე ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, სულ მალე, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე, სალომე ზურაბიშვილს ჩაანაცვლებს. პრეზიდენტის არჩევნები 14 დეკემბერსაა ჩანიშნული, ხოლო ინაუგურაცია 29 დეკემბერს გაიმართება. რაც მთავარია, ქვეყნის მთავარსარდალს წელს, პირველად, არაპირდაპირი წესით, 300 წევრისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგია აირჩევს. ვინ არის და რა ქონებას ფლობს მიხეილ ყაველაშვილი? „ვერსია“ მომავალი პრეზიდენტის ბიოგრაფიას და ქონებრივ დეკლარაცას გთავაზობთ, ხოლო მის სპორტულ კარიერას გაზეთის სპორტის რუბრიკაში, ჩემი კოლეგის სტატიაში გაეცნობით.

მიხეილ ყაველაშვილის ბიოგრაფია

ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი, მიხეილ ყაველაშვილი 53 წლისაა – 1971 წლის 22 ივლისს, ბოლნისში დაიბადა.

„ვიკიპედიის“ მიხედვით, 1989 წელს, მიხეილ ყაველაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ ვინაიდან საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე, მისსავე პირად გვერდზე განათლების გრაფა ცარიელია, სავარაუდოდ, დიპლომი აღარ აუღია...

1990 წლიდან, მიხეილ ყაველაშვილის წარმატებული სპორტული კარიერა დაიწყო. 1988-1995 წლებში, თამაშობდა „დინამო თბილისში“; 1994-1995 წლებში – „ალანია-ვლადიკავკაზში; 1995-1997 წლებში – „მანჩესტერ-სიტიში“; 1997-1999 წლებში – „გრასჰოფერში“; 1999-2002 წლებში – „ციურიხში“; 2002-2003 წლებში – „ლუცერნში“,; 2003-2004 წლებში – „სიონში“; 2004-2005 წლებში – „არაუში“; 2004 წელს – „ალანია-ვლადიკავკაზში“; 2005-2006 წლებში – „გაზელში“; 2016 წელს – საზოგადოებრივი მაუწყებელზე, საფეხბურთო ექსპერტია; 2009 წლიდან – FIFPro-ს დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტია.

2006 წელს, მოიპოვა შვეიცარიის სამწვრთნელო განათლების C კატეგორიის ლიცენზია; 2009 წლიდან – საქართველოში, მსოფლიოს ფეხბურთელთა გაერთიანების (FIFPro) დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტია; ამავე პერიოდში, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საფეხბურთო ექსპერტი და არაერთი პუბლიკაციის ავტორია; 2014 წელს – შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების სტრატეგია „ტალანტების ფაბრიკა“; 2016 წელს – მოიპოვა უეფა-ს მწვრთნელთა განათლების B კატეგორიის ლიცენზია.

2016-2020 წლებში იყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი, საარჩევნო ბლოკიდან: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“. 2020 წლიდან – საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრია“, ისევ „ქართული ოცნების“ პარტიიდან. 2022 წლის 28 ივნისს, სოზარ სუბართან და დიმიტრი ხუნდაძესთან ერთად, დატოვა „ქართული ოცნება“, რაც პარტიის ინფორმაციით, საჯარო ინფორმაციის საკითხზე უთანხმოებამ გამოიწვია, აგვისტოში კი დააფუძნა მოძრაობა „ხალხის ძალა“. 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში, მიხეილ ყაველაშვილის „ხალხის ძალა“ მმართველი პარტიის – „ქართული ოცნების“ სიაში მოხვდა.

მომავალი პრეზიდენტის ქონება

დეკლარაცია სულ ბოლოს, მიხეილ ყაველაშვილმა 2024 წლის 26 აპრილს შეავსო, რომელშიც მითითებულია, რომ ჰყავს მეუღლე – თამარ ბაგრატიონი (მომღერალ ლიზა ბაგრატიონის და) და სამი შვილი – მარიამი, გურამი და ელისაბედი. თამარ ბაგრატიონს ჰყავს ვაჟი – გიორგი ივანიშვილი, პირველი ქორწინებიდან.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მიხეილ ყაველაშვილის საკუთრებაშია 22 000 აშშ დოლარად შეძენილი ავტოფარეხი, გაბაშვილის ქუჩაზე. სხვა უძრავ ქონებაზე ბოლოს შევსებულ დეკლარაციაში ინფორმაცია არ არის მითითებული. წინა წლის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ყაველაშვილის ზრდასრული გერის – გიორგი ივანიშვილის სახელზე გაფორმებულია 134 კვ. მეტრი ფართობის ბინა თბილისში, ჭავჭავაძის #83-ში.

დეკლარაციის მიხედვით, მომავალი პრეზიდენტის მეუღლე, თამარ ბაგრატიონი შპს „გეომაკის“ 40%-იანი წილს ფლობს.

მიხეილ ყაველაშვილს აუღია სამომხმარებლო სესხი – 84 000 ლარის ოდენობით, ხოლო

ხელფასის სახით, წლიურ ჭრილში – 49 416 ლარია მითითებული.

სხვა გრაფები ქონებრივ დეკლარაციაში ცარიელია.

„ჰარი პოტერის“ თაობა „ნუ პაგადის“ თაობის წინააღმდეგ

მე-3 გვერდიდან

ჩვენი ქვეყნის დაშანტაჟებისა და საზოგადოების გახლეჩის ინსტრუმენტად, როგორც მანამდე კანდიდატის სტატუსი გამოიყენებოდა. ესეც არის სრულიად ხელოვნური მოვლენა, მით უმეტეს, რომ მოლაპარაკებების გახსნის თარიღზე გაწევრიანების თარიღი საერთოდ არ არის დამოკიდებული.

მთავარია არა ის, თუ როდის გავხსნით მოლაპარაკებებს, არამედ ის, თუ როდის დავხურავთ მას. როგორც მოგეხსენებათ, საქართველომ უკრაინასა და მოლდოვაზე გვიან დაიწო მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმების ხელმოწერასთან, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებასთან და უვიზო რეჟიმის მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა სამივე შემთხვევაში, წარმატებას ამ ქვეყნებზე ადრე, ან ამ ქვეყნების თანადროულად მიაღწია. იმასაც შეგახსენებთ, რომ მონტენეგრომ და სერბეთმა, შესაბამისად, 2012 და 2014 წელს გახსნეს მოლაპარაკებები ევროკავშირთან, თუმცა ამას მათი ევროინტეგრაცია ოდნავადაც არ დაუჩქარებია. თურქეთს კი ევროკავშირმა, 2005 წელს გახსნილი მოლაპარაკებები, 2016 წელს, საერთოდაც შეუწყვიტა.

ტექნიკური თვალსაზრისით, მოლაპარაკებების გახსნიდან ევროკავშირში გაწევრიანებამდე, მხოლოდ წელიწად-ნახევარი-ორი წელიწადი არის საჭირო, 2030 წლამდე კი ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება არავის აქვს დაგეგმილი. აქედან ჩანს, თუ რამდენად ხელოვნური და, შესაბამისად, უკიდურესად შეურაცხმყოფელია ის შანტაჟი, რომელსაც ევროპელი პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ნაწილი მოლაპარაკებების გახსნის თემით, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ აწარმოებს.

ამასთან, ამ ფონზე, საქართველოს სთხოვენ არა რეფორმებს, არამედ, მხოლოდ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ღირსებაზე უარის თქმას ნიშნავს. ეს არის „ენჯეოების“ გამჭვირვალობის შესახებ კანონის გაუქმება, ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ კანონის გაუქმება, სანქციების დაწესება და საქართველოს ეკონომიკის ჩვენივე ხელით ჩამოშლა, მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება და სხვ.

ჩვენ მხოლოდ ღირსებით ვივლით წინ, ევროკავშირისკენ. ეს არის ქართული საზოგადოების, იმ 1 120 000 ამომრჩევლის დაკვეთა, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ და „ქართული ოცნების“ კურსს მყარი ნდობა გამოუცხადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, 2028 წლის ბოლომდე, დღის წესრიგში არ დავაყენოთ ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხი. ასევე, 2028 წლის ბოლომდე, უარს ვამბობთ ყოველგვარ საბიუჯეტო გრანტზე ევროკავშირის მხრიდან. 2028 წლის ბოლო არის ის დრო, როდესაც საქართველო, ეკონომიკური თვალსაზრისით, სათანადოდ იქნება მომზადებული, რათა გახსნას მოლაპარაკებები 2030 წელს, ევროკავშირში გასაწევრიანებლად. ჩვენ არ ვჩერდებით და განვაგრძობთ ასოცირების დღის წესრიგითა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და როგორც დღეს დამტკიცებულ სამთავრობო პროგრამაშია აღნიშნული, 2028 წლისთვის, ამ ვალდებულებების 90%-ზე მეტი გვექნება შესრულებული. ამასთან, ყველა ამ ვალდებულებას შევასრულებთ საკუთარი დაფინანსებით, ევროკავშირის ყოველგვარი ფინანსური დახმარების გარეშე. ჩვენ ვაპირებთ არა მათხოვრობით და ცალ ფეხზე დგომით ევროკავშირში შესვლას, არამედ, ევროკავშირში ღირსეულად გაწევრიანებას, გამართული დემოკრატიული სისტემითა და ძლიერი ეკონომიკით.

ჩვენ განვაგრძობთ სვლას ევროკავშირისკენ, თუმცა არავის მივცემთ საშუალებას, დაგვტოვონ მუდმივი შანტაჟისა და მანიპულაციის რეჟიმში, რაც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სრულიად შეურაცხმყოფელია. მიგვაჩნია, რომ ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ურთიერთობების გაჯანსაღებაში საქართველოსა და ევროკავშირს შორის. შესაბამის ევროპელ პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებს, რომლებიც სრულად არიან დაცლილნი ევროპული ღირებულებებისგან, ჩვენ მკაფიოდ უნდა დავანახოთ, რომ ისინი საქართველოს არა შანტაჟითა და შეურაცხყოფით, არამედ, ღირსეულად უნდა ელაპარაკონ. მოლაპარაკებების გახსნის საკითხის გამოყენება საზოგადოების გახლეჩისა და მანიპულაციის ინსტრუმენტად ევროკავშირს საქართველოში სერიოზულ რეპუტაციულ ზიანს აყენებს. ჩვენი დღევანდელი გადაწყვეტილება ევროკავშირს ამ რეპუტაციულ ზიანს სამომავლოდ აარიდებს თავიდან.

დასასრულ, კიდევ ერთხელ, თამამად გვინდა, განვაცხადოთ, რომ 2030 წლისთვის, საქართველო ყველა კანდიდატ ქვეყანაზე მეტად იქნება მზად ევროკავშირში გასაწევრიანებლად. საქართველო მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით გახდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფო. ეს არის ჩვენი დაპირება ქართველი ხალხის მიმართ, რომელსაც აუცილებლად შევასრულებთ“.

სანამ ოპოზიცია გონს მოვა, Facebook-ჯგუფ „დაიტოვეში“ ჩნდება პოსტები, რომლითაც მოქალაქეები ერთმანეთს ქუჩაში გასვლისკენ მოუწოდებენ. პარალელურად, ფედერალისტების ლიდერი გიგა ბოკერია „პოსტავს“, რომ „ლაივი“, რომელიც იმ საღამოს უნდა ჰქონოდა, გადადებულია და მომხრეებს ურჩევს, 20:00 საათზე, პარლამენტთან მივიდნენ.

მოკლედ, მოქალაქეები ორთაჭალაში, „ქართული ოცნების“ ოფისთან იწყებენ შეკრებას. პარალელურად, იმავე ადგილზე ძალოვანების მობილიზება იწყება. არცთუ დიდ დროში, ქუჩაში უკვე ათასობით ადამიანია გასული და ევროკავშირთან მოლაპარაკების ოთხი წლით დაპაუზებას აპროტესტებს. ორთაჭალიდან მომიტინგეები პარლამენტისკენ იწყებენ მსვლელობას, სადაც ასევე, უამრავი ხალხია შეკრებილი.

აქცია მშვიდობიანია – მოქალაქეებს, უბრალოდ, ტრანსფარანტები უჭირავთ, რომლითაც ხაზს უსვამენ, რომ საქართველოს გზა ევროპისკენაა.

ყველაფერი თითქოს კარგადაა, მაგრამ შუაღამისას, ძალოვანი უწყებები, რომლებიც აქციის დაწყების წუთიდანვე საკანონმდებლო ორგანოსთან იყვნენ მობილიზებულნი, მომიტინგეების გაფრთხილებას იწყებენ, რასაც წყლის ჭავლის გამოყენება მოჰყვა.

ამის მიუხედავად, ხალხი ქუჩაში მეორე დღესაც გამოვიდა, თანაც უფრო ბევრი და... თითქმის ერთი კვირაა, სახელმწიფოს წარმომადგენლები და გაბრაზებული მოქალაქეები ერთმანეთს „აბა, დამაცადეს“ ეთამაშებიან – წყლის ჭავლით შლიან, ხალხი მაინც გამოდის ქუჩაში, თან უფრო ბევრი, ვიდრე დაშლამდე იყო...

ამასობაში, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ავრცელებენ განცხადებას, რომ ევროკავშირი მათი მთავარი არჩევანია და ამ მოტივით, არაერთი ელჩი თანამდებობას ტოვებს.

საპროტესტი განცხადებებს მხოლოდ საგარეოს კი არა, არამედ, სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლებიც ავრცელებენ.

იფიცებიან უმაღლესი სასწავლებლები, სკოლების უფროსკლასელები...

ერთი სიტყვით, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, რასაც ეროვნული ვალუტის მყისიერი გაუფასურებაც ემატება და, როგორც ეკონომიკის მცოდნენი ამბობენ, თუ რამე არ შეიცვალა, ქართულ ეკონომიკას სერიოზული პრობლემა შეექმნება, თან ისეთი სერიოზული, რომ თავს მხოლოდ ოპოზიციონერი ამომრჩევლები კი არა, არამედ, ხელისუფლების მხარდამჭერებიც ძალიან ცუდად იგრძნობენ.

ახლა, შესაძლოა, ვინმემ თქვას, ქუჩაში გასული ახალგაზრდები უზრდელები არიან, უმცროს-უფროსობა არ იციან და აწყობილ ქვეყანას ღუპავენო. ამ აზრს არსებობის უფლება, ცხადია, აქვს, მაგრამ ქალბატონებო და ბატონებო, აბა, მხოლოდ ერთი წამით დაფიქრდით, უფრო სწორად, საკუთარ გულში ჩაიხედეთ და მხოლოდ საკუთარ თავთან გააკეთეთ „ქამინგ აუთი“ ანუ გამოუტყდით საკუთარ თავებს, რომ თქვენზე ძალიან ლაღები, თავისუფლები, განათლებულები არიან.

დიახ, ეს არის თაობა, რომელსაც თქვენი მოსკოვები, მავზოლეუმი და „რუსი ნატაშები“ სულ, მაპატიეთ და, ცალ ფეხზე ჰკიდია!

დიახ, ეს არის თაობა, რომელიც ხანშიშესულებივით არ ფიქრობს, ქალი იმიტომაა ქალი, ქმარს რომ თავი დაუხაროს და მისგან ცემა-ტყეპა აიტანოსო.

დიახ, ეს არის თაობა, რომელმაც იცის თავისუფლების ფასი და ისიც ზედმიწევნით კარგად იცის, რომ იგივე ოჯახში, ცოლსა და ქმარს ერთნაირი უფლებები აქვთ!

დიახ, ეს არის თაობა, რომელსაც „ნუ პაგადი“-ს ყურებას „ჰარი პოტერი“ ურჩევნია!

ჰოდა, ხანშიშესულო ქალბატონებო და ბატონებო, ამის გამო ამუნათებთ საკუთარ შვილებს?

თუ ასეა, მაშინ აფერუმ, თქვენს ასაკს...

ისე, დაკვირვებული ვარ, მათ უმეეტსობას, ვინც ამ ფერად და ლაღ გოგო-ბიჭებს წყევლის და იმასაც იწონებს, ძალოვანები კარგად ვერ სცემენ, ყველას თავები უნდა გაუტეხონო, იგივე სოცქსელში უამრავი ხატი უდევს და ყოველ მეორე სიტყვაში უფალს ახსენებს.

ჰო, თან ძალადობას ამართლებს, თან პირჯვარს იწერს.

ახლა, რა ჰქვია ამას, თუ არა ორპირობა და ფარისევლობა?

რაც შეეხება აქციაზე ცემას. იგივე სახელმწიფო უწყებები აღიარებენ, რომ ცალკეული გადაცდომები, შესაძლოა, იყო.

ზოგადად, მსგავსი საპოლიციო ღონისძიებების დროს, დაზღვეული არავინ არაფრისგანაა, მაგრამ ბოლო დღეების აქციების დაშლისას, ძალიან ბევრი ჟურნალისტი დაშავდა, არადა, მედია ომშიც კი ხელშეუხებელია.

სხვათა შორის, დაშლის დროს, მხოლოდ ე.წ. ოპოზიციური მედიის წარმომადგენლები არ დაშავებულან. ასე, მაგალითად, დაშავდნენ „საზმაუწყელბის“ წარმომადგენლები. ასევე, დაკავებულია „პირველი არხის“ ჟურნალისტი, ბექა ჩაგელიშვილი.

საერთოდ, არეულობის დროს, მხოლოდ ერთი მხარე არ ზარალდება. არის თუ არა ის არეულობა, რაც ახლა ქვეყანაში ხდება?

რა თქმა უნდა, არის, მაგრამ გასარკვევია, რა არის ამ არეულობის საბაბი ანუ რატომ გადაწყვიტა „ჰარი პოტერის“ თაობამ ქუჩაში გამოსვლა?

იქნებ, ამაზე დაფიქრდეთ, დედებო და მამებო და იქნებ, ისიც გაიაზროთ, რომ „ბაბაიაგას“ ზღაპრები თქვენ მოგწონდათ, თქვენს შვილებს კი სხვა ღირებულებები აქვთ!

რა წერია და როდის გაფორმდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია

მაკა რუხაძე

აშშ-მ საქართველოსთან სტრატეგიული პარტნიორობა შეაჩერა – ამის შესახებ განცხადება ოფიციალურმა ვაშინგტონმა რადენიმე დღის წინ გაავრცელა. ცნობისთვის: აშშ-სა და საქართველოს შორის ქარტია, რომელიც საქართველოს ნატო-ში მისწრაფებისადმი და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ აშშ-ის მხარდაჭერას ადასტურებდა, 2009 წლის 9 იანვარს, ვაშინგტონში გაფორმდა და მას ხელს აწერდნენ საქართველოს იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, გრიგოლ ვაშაძე და აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი, კონდოლიზა რაისი. როგორც ქარტიის გაფორმებისას ითქვა, ეს იყო პასუხი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე. სხვათა შორის, ანალოგიური ქარტია 2008 წლის 19 დეკემბერს, აშშ-სა და უკრაინას შორისაც გაფორმდა, უფრო ადრე, 90-იანი წლების დასაწყისში კი – ბალტიისპირეთის ქვეყნებთან. ქარტიის ოფიციალურ გაფორმებამდე, საქართველოს სახელმწიფო უწყებებში, მათ შორის, საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ქარტიის კონკრეტულ სამოქმედო გეგმად გადაქცევის წინადადებები მოამზადა.

2009 წლის 22 ივნისს, აშშ-მ და საქართველომ სტრატეგიული პარტნიორობის ერთობლივი საბჭო დააარსეს, რომელიც უშუალოდ ქარტიის მიზნების განხორციელებაზე მუშაობდა. ამ საბჭოს პირველი სხდომა ვაშინგტონში გაიმართა. რატომ შეაჩერა აშშ-მ სტრატეგიული თანამშრომლობა საქართველოსთან? – ეს ვრცელი თემაა, რომელზეც ახლა მსჯელობას არ ვაპირებთ. „ვერსია“ ზემოხსენებული ქარტიის ტექსტს კომენტარების გარეშე გთავაზობთ. ამასთან, გეტყვით, რომ ქარტია შედგება პრეამბულისა და ხუთი ნაწილისგან. შედგენილია ორ – ქართულ და ინგლისურ თანაბარ ეგზემპლიარად. პრეამბულაში დეკლარირებულია ზოგადი საკითხები, რასაც ეხება ქარტია.

15 წლის წინ შედგენილი დოკუმენტის სრული ტექსტი

აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ

პრეამბულა

ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო:

1. ვადასტურებთ ჩვენი, როგორც მეგობრების და სტრატეგიული პარტნიორების ურთიერთობის მნიშვნელობას, განზრახული გვაქვს გავაღრმაოთ პარტნიორობა ორი ერის საკეთილდღეოდ და გავაფართოვოთ თანამშრომლობა ორმხრივი პრიორიტეტების ფართო სპექტრით.

2. ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენს დემოკრატიებს შორის თანამშრომლობა ეფუძნება საერთო ღირებულებებსა და საერთო ინტერესებს, მათ შორის, დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების განვითარებას, უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას და ადამიანის უფლებების პატივისცემას, ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირის და ლტოლვილის ღირსეული, უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლების ჩათვლით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიური მიღწევების მხარდაჭერას და ევრაზიაში ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას.

3. ხაზს ვუსვამთ ორმხრივ სურვილს, გავაძლიეროთ ურთიერთობა ეკონომიკის, ენერგეტიკის, დიპლომატიის, მეცნიერების, კულტურისა და უსაფრთხოების სფეროებში.

ნაწილი I: პარტნიორობის პრინციპები

წინამდებარე ქარტია ეფუძნება მხარეებისათვის საერთო ძირითად პრინციპებსა და შეხედულებებს:

1. ერთმანეთის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის მხარდაჭერა წარმოადგენს ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის საფუძველს.

2. ჩვენი მეგობრობა ეფუძნება საერთო გაგებას და აღიარებას ერთობლივი რწმენისა, რომ დემოკრატია წარმოადგენს პოლიტიკური ლეგიტიმურობის და შესაბამისად, სტაბილურობის მთავარ საფუძველს.

3. დემოკრატიათა შორის თანამშრომლობას თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებითი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და უსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირებისათვის.

4. ძლიერ, დამოუკიდებელ, სუვერენულ და დემოკრატიულ საქართველოს, რომელსაც შესწევს პასუხისმგებელი თავდაცვის ძალა, წვლილი შეაქვს არა მარტო საქართველოს ყველა მოქალაქის, არამედ ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმტკიცებაში.

5. საქართველოს მზარდ დემოკრატიას ძალუძს ასპარეზი მისცეს თავისი შრომისმოყვარე მოქალაქეების შემოქმედებით პოტენციალს, რითაც მკვეთრად გაიზრდება კეთილდღეობა, როგორც მთელ რეგიონში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

6. ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს საქართველოს ძალისხმევას გააღრმაოს კავშირები ევროატლანტიკური თანამეგობრობის სხვა ერებთან პოლიტიკის, ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და სოციალურ სფეროებში.

7. პარტნიორები აცხადებენ, რომ მათ საერთო მიზანს წარმოადგენს საქართველოს სრული ინტეგრაცია ევროპულ და ტრანსატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტებში, საქართველოს მიერ აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების საფუძველზე.

ნაწილი II: თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში

ორივე ქვეყნისათვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს, რომ საქართველო იყოს ძლიერი, დამოუკიდებელი, სუვერენული, ერთიანი და დემოკრატიული სახელმწიფო. ამერიკის შეერთებული შტატები აღიარებს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ერაყში, კოალიციის ძალისხმევაში. ამით საქართველომ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ აქვს პოტენციალი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საერთო უსაფრთხოებაში. საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავება წარმოადგენს საერთო პრიორიტეტს და ჩვენ ვგეგმავთ უსაფრთხოების სფეროში გაფართოებული თანამშრომლობის პროგრამის წამოწყებას, რომლის მიზანია საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება და ნატო-ს წევრობისათვის მომზადება. ამასთან, აღსანიშნავია 2008 წლის აპრილში, ბუქარესტის სამიტზე ალიანსის განაცხადი, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი.

1. ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო შეადგენენ და შეასრულებენ ორგანიზებულ გეგმას, რომლის მიზანია ნატო-სა და საქართველოს შესაძლებლობების თავსებადობისა და კოორდინაციის ამაღლება, მათ შორის, საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის გაუმჯობესების გზით.

2. აღიარებენ რა, რომ მსოფლიოში მშვიდობასა და სტაბილურობას საფრთხეები ემუქრება, ითვალისწინებენ რა, 12 აგვისტოს, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე, საქართველოსა და რუსეთის მიერ ძალის არ გამოყენების შესახებ აღებულ ვალდებულებას, ამერიკის შეერთებულ შტატები და საქართველო გეგმავენ გააფართოვონ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის პროგრამების ფარგლები, ამ საფრთხეების აღმოფხვრისა და მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ხელის შეწყობის მიზნით. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა და პარტნიორობა სასარგებლოა, როგორც ორივე სახელმწიფოსთვის, ისე, რეგიონისთვის.

3. აცნობიერებენ რა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებით გამოწვეულ მზარდ საფრთხეს, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ვალდებულებას იღებენ იბრძოლონ მასობრივი განადგურების იარაღის და სახიფათო ტექნოლოგიების გავრცელების წინააღმდეგ გაუვრცელებლობის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, ექსპორტის კონტროლის ეფექტიანი განხორციელებით და ამგვარი კონტროლის გაძლიერებით.

4. თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების შესაბამის უწყებებს შორის არსებულ თანამშრომლობაზე

დასასრული მე-15 გვერდზე

როგორია დიპლომატების ანაზღაურება საქართველოში

მაკა რუხაძე

საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი და ეკონომიკური დიპლომატია

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველო აჩერებს ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნას 2028 წლამდე, საზოგადოების ნაწილმა ხელისუფლების გადაწყვეტილება გააპროტესტა. საპროტესტო აქციები დედაქალაქსა და ქვეყნის რამდენიმე ქალაქში ერთდროულად მიმდინარეობს, მაგრამ იმავდროულად, თანამდებობები დატოვეს სხვადასხვა ქვეყანაში დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებმა. უფრო კონკრეტულად, თანამდებობა დატოვა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნიდერლანდების სამეფოში – დავით სოლომონიამ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ლიეტუვაში – სალომე შაფაქიძემ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბულგარეთში – ოთარ ბერძენიშვილმა, იტალიაში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა – ირაკლი ვეკუამ და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სამხრეთ კორეაში – თარაშ პაპასკუამ, საქართველოს ელჩმა ჩეხეთში – თეა მაისურაძემ. მეტიც, თანამდებობიდან გადადგა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში – დავით ზალკალიანი. ორიოდე დღის წინ კი თანამდებობა დატოვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თეიმურაზ ჯანჯალიამ. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტროში საკადრო ცვლილებები ისედაც იგეგმებოდა მას შემდეგ, რაც მინისტრის პოსტზე, ილია დარჩიაშვილი ახალი კანდიდატურით – მაკა ბოჭორიშვილით ჩაანაცვლა. დიპლომატების დემარშის კვალდაკვალ, „ვერსია“ დიპლომატიური კორპუსის ბიუჯეტით დაინტერესდა.

ელჩების ანაზღაურება

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს დიპლომატიური სამსახურის წევრთა ანაზღაურებები საჯარო სამსახურში არსებული შრომითი ანაზღაურების სისტემისგან განსხვავებული ნორმებით რეგულირდება და საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება.

საზღვარგარეთ, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში როტაციის წესით სამუშაოდ მივლინებულ პირთა გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ნორმებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის დამატებითი ანაზღაურებას არეგულირებს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულება.

„საზღვარგარეთ, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც აკრედიტებული არიან და რწმუნებათა სიგელები მიღებული აქვთ სამუშაოდ ერთდროულად ორ ქვეყანაში ან საერთაშორისო ორგანიზაციაში, მიეცეთ დანამატი – ანაზღაურების ნორმის 10%, სამ და მეტ ქვეყანაში – 20%.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების იმ მუშაკებს, რომელთაც უხდებათ მუშაობა რთულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საყოფაცხოვრებო პირობებში, რისკის სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დაუდგინდეთ დანამატი თვეში გრძელვადიანი მივლინების ანაზღაურების ნორმები 15%-ის ოდენობით.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების პირობებით უმცირდებათ ანაზღაურება, შეუნარჩუნდეთ დღეისათვის არსებული გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ნორმები.

ბრძანებულებით დამტკიცებული როტაციის წესით, გრძელვადიანი სამუშაო მივლინების ანაზღაურების ნორმების დაფინანსება მოხდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან“.

ელჩების, კონსულების და ზოგადად, დიპლომატების ანაზღაურებები სხვა საჯარო მოხელეთა ხელფასებზე რამდენჯერმე მაღალია და ცალკეულ შემთხვევებში, წლიურად 200 ათას ლარსაც კი აჭარბებს, რაც მინისტრებისა და პრემიერ-მინისტრის ანაზღაურებაზე ბევრად მაღალია.

მაგალითად, დავით ზალკალიანის ხელფასი – 191 202 ლარი იყო; დავით სოლომონიას ანაზღაურება – 226 787 ლარი; სალომე შაფაქიძის – 184 735 ლარი; ოთარ ბერძენიშვილის – 204 998 ლარი; თეა მაისურაძის – 182 451 ლარი... რაც შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებას, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, 2 200 000 ლარით გაიზარდა და 189 700 000 ლარით განისაზღვრა. სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, სამინისტროში მომუშავეთა რაოდენობაა – 817 ადამიანი; საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე გათვალისწინებულია – 186 253 000 ლარი; საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა – 176 470 000 ლარი; საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა – 6 300 000 ლარი; საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა/დამოწმება – 172 000 ლარი; დიასპორული პოლიტიკა – 1 900 000 ლარი; ევრპოპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება – 1 411 000 ლარი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, გენდერულ ჭრილში, 2024 წლის 16 აპრილის

დასასრული მე-8 გვერდზე

როგორია დიპლომატების ანაზღაურება საქართველოში

მე-7 გვერდიდან

მდგომარეობით, ასე გამოიყურება: საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულია 325 მოსამსახურე, აქედან 212 – ქალი და 113 – კაცი. კატეგორიების მიხედვით: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები – 5 კაცი და 1 ქალი; ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები – 5 ქალი; დიპლომატიური თანამდებობის პირები – 245 მოსამსახურე, აქედან 153 – ქალი და 92 – კაცი.

ადმინისტრაციული პერსონალი – 74 მოსამსახურე, მათგან 54 – ქალი და 20 – კაცი.

საზღვარგარეთ, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებში დასაქმებულია 358 მოსამსახურე, აქედან 134 – ქალი და 224 – კაცი.

კატეგორიების მიხედვით: დიპლომატიური თანამდებობის პირები – 292 მოსამსახურე, მათგან 111 – ქალი და 181 – კაცი.

ადმინისტრაციული პერსონალი – 66 მოსამსახურე, მათგან 23 – ქალი და 43 – კაცი.

ეკონომიკური დიპლომატია

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრიორიტეტი ეკონომიკური დიპლომატიაა. თუ რა ღონისძიებებს ატარებს უწყება ამ მიმართულებით, განვიხილოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც ექს-მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა, საქართველოს პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფარგლებში გააცნო საზოგადოებას.

ზოგადად, ეკონომიკური დიპლომატია და მისი გააქტიურება დადებით ზეგავლენას ახდენს საქართველოში ეკონომიკურ ზრდაზე და პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვაზე, ასევე, სავაჭრო ტვირთბრუნვის, მათ შორის, ექსპორტის ზრდისა და სატრანზიტო შემოსავლების მატებაზე.

„2023 წელს, აქტიური პერიოდი იყო ექსპორტის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით და ბიზნეს-დელეგაციების ვიზიტების კუთხით. გაიმართა პროფილური უწყებებისა და ბიზნეს-დელეგაციების 60-ზე მეტი ვიზიტი და ფორუმი, ონლაინ-შეხვედრა. ამ პერიოდის ვიზიტები: არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, გერმანიიდან, ეგვიპტიდან (4-ჯერ), თურქეთიდან, თურქმენეთიდან, იაპონიიდან (2-ჯერ), ინდოეთიდან, ირლანდიიდან, ისრაელიდან, კანადიდან (2-ჯერ), კორეიდან, მონღოლეთიდან, სლოვენიიდან, უნგრეთიდან, ფინეთიდან (3-ჯერ), შვედეთიდან, ჩინეთიდან (3-ჯერ), ჩრდილოეთ მაკედონიიდან, ხორვატიიდან (სულ 28 ვიზიტი საქართველოში); ვიზიტები: აშშ-ში, ბელგიაში, გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიაში, ეგვიპტეში, თურქმენეთში (4-ჯერ), იტალიაში, ისრაელში, კანადაში, მოლდოვაში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში, ჩეხეთში (სულ 16 ვიზიტი საქართველოდან); ონლაინ შეხვედრები: ესპანეთის, თურქმენეთის, ისრაელის, კატარის, მალაიზიის (2-ჯერ), ჩინეთის ბიზნეს-წრეებთან (სულ 7 ონლაინ-შეხვედრა)“.

ანგარიშში ვკითხულობთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ინვესტიციების მოზიდვის სფეროში საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტივობებს. აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ნაყოფიერი თანამშრომლობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. ინტენსიურად გრძელდება მუშაობა ქართული სტარტაპების უცხოეთის ბაზრებზე შესვლის მხარდაჭერისა (გაიმართა ბიზნეს-ფორუმები სან-ფრანცისკოში, ლონდონსა და ნიუ-იორკში) და ტექნოლოგიური კომპანიების საქართველოში შემოყვანის მიზნით. საქართველოს საელჩოების აქტიური ჩართულობით, ჩვენს ქვეყანაში თავისი ფილიალები გახსნა რამდენიმე უცხოურმა კომპანიამ.

„საგარეო უწყებამ ინტენსიურად შეუწყო ხელი საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებისა და ბიზნეს-ორგანიზაციების მონაწილეობას ქართული საკვები პროდუქტებისა და ღვინის ცნობადობის ხელშეწყობის გამოფენებში, ასევე, ტურიზმის პოპულარიზაციის ღონისძიებებში (მათ შორის, ტურ-ოპერატორების ვიზიტები/პრეს-ტურები). ამ მიმართულებით, ხელი შეეწყო ქართული მხარის მონაწილეობას მსოფლიოს 40-მდე სხვადასხვა ქალაქში გამართულ საერთაშორისო გამოფენებში, ფესტივალებში, დეგუსტაციებში, ფორუმებში, სემინარებში, კონფერენციებში და პრეზენტაციებში (სულ 55 საერთაშორისო ღონისძიება). გაიმართა გაცნობითი ტურები სხვადასხვა ქვეყნის ტელე-ჟურნალისტებისთვის საქართველოს ზამთრის სამთო-სათხილამურო კურორტების პოპულარიზაციის მიზნით“.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ქვეყნის საგარეო-სავაჭრო და საინვესტიციო გარემოს შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით. ეკონომიკურ სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიები, რომლებიც ქვეყნებს შორის არსებული საკითხების ფართო სპექტრის განხილვისა და წარმოქმნილი პრობლემატიკის დარეგულირების საშუალებას იძლევა. ამ მიმართულებით, გამოვყოფდი საანგარიშო პერიოდში გამართულ საქართველო-აზერბაიჯანის, საქართველო-სომხეთის, საქართველო-უზბეკეთის, საქართველო-თურქმენეთის და საქართველო-ლიეტუვას ერთობლივი კომისიების სხდომებს.

საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს აქტიური ხელშეწყობით, გაფართოვდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლობის ქსელი (სავაჭრო-სამრეწველო პალატამ გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმები ტორინოს ხელოსნებისა და სოფლის მეურნეობის პალატასთან და ტაილანდის ვაჭრობის საბჭოსთან).

„აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში საზღვარგარეთ ქართული დიასპორის ჩართულობის კიდევ უფრო გააქტიურების მიზნით. ამ კუთხით, პრაქტიკაში დაინერგა ბიზნეს-დიალოგის ფორმატი, რომელიც საშუალებას იძლევა, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში არსებულ შესაძლებლობებზე დეტალური ინფორმაცია მიეწოდოს ჩვენს დიასპორას, რათა ინტენსიურად ჩაერთონ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში“.

სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებისა (UNECE, UNESCAP, ECOSOC, UNEP, OECD, UNCTAD, IMO, ICAO, ITU, WTO, UNWTO, UNDP, UNIDO, WHO, ILO და სხვა) და მრავალმხრივი კონვენციების ფარგლებში, თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით.

სამართალი

№41 4 დეკემბერი 2024 წ

„არ მესროლოთ, უიარაღო ვარ“

შეყვარებული ქურდის რომანტიკული ამბავი

ბათო ჯაფარიძე

ყველამ კარგად იცის, რამხელა მნიშვნელობა აქვს სახლში ნივთების განლაგებას. უფრო სწორედ, ის იცის ყველამ, სად, რა ნივთი დევს სახლში. ალბათ, ყველა გაბრაზებულა, როცა ნივთი თავის ადგილზე ვერ აღმოუჩენია, გადაუადგილებიათ, უძებნია... ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, როცა შინ მარტო ხართ და აღმოაჩენთ, რომ ნივთები თავისით გადაადგილდება, ან საერთოდაც, ისინი უბრალოდ ქრება.

„არ ვიცი, რა ვიფიქრო. მარტო ვცხოვრობ და მგონია, რომ ვგიჟდები. ნივთები გადაადგილებული მხვდება და ვფიქრობ, რომ რაღაცები ქრება კიდეც. ვიღაც რომ მოდიოდეს სახლში, კარს ხომ უნდა ეტყობოდეს? რაც მთავარია, ამის გამო, საკეტი ორჯერ შევცვალე, ერთხელ ხელოსანი მოვიყვანე, მაგრამ იგივე რომ გაგრძელდა, შემდეგ მამიდაშვილს ვთხოვე და საკეტი იმან შემიცვალა. ამას ბოლო მაინც არ უჩანს. შვილი გათხოვილია, ქმართან ერთად ცხოვრობს და გასაღები მასაც კი არ მივეცი, რომ ეჭვი არ შემპარვოდა, მაგრამ... ჩემს სახლში ვიღაც მოდის მაშინ, როცა მე არ ვარ, ნივთებს ადგილებს უცვლის და რაღაცებს მპარავს“, – განყოფილებაში მისული ქალი თითქოს დაუჯერებელ ამბავს ჰყვებოდა.

სამართალდამცავები, პირველ რიგში, შვილის დასაკითხად გაემართნენ, ქალთან სახლში კი, ექსპერტი გაუშვეს, რომელსაც საკეტი უნდა შეემოწმებინა. ორივე ღონისძიებამ საინტერესო შედეგი გამოიღო. ეექსპერტმა დაადასტურა, რომ საკეტი უმაღლესი დონის თუ ხარისხის „ატმიჩკებით“ იყო გახსნილი, ხოლო შვილმა...

„მეშინია... ძალიან მეშინია. ბებიას ანუ დედაჩემის დედას, გაფანტული სკლეროზი ჰქონდა, მერე ყველაფერი ეს უმძიმეს ფორმებში გადაუვიდა და ბოლოს ისე იყო, ოთახიდან რომ გავიდოდით და უკან შემოვიდოდით, ბებო გვეკითხებოდა, ვინ გნებავთო? ასე მგონია, რომ დედაჩემიც იმავე გზაზე დგას და ვფიქრობ საკუთარ თავზეც, ეს თუ მემკვიდრეობითია, მეც იგივე დამემართება. იცით, რატომ არ მჯერა, რომ ვიღაც შედის, რაღაცებს ჰპარავს და ნივთებს აქეთ-იქეთ ამოძრავებს? თქვენ დედაჩემის ბინა არ გინახავთ. იქ არაფერია გადასაადგილებელი და რაც მთავარია, არაფერია მოსაპარი. ყველაფერი ერთად რომ შეკრიბო, ათასი დოლარიც კი არ გამოვა. მას არ აქვს ვერცხლიც კი, ოქროზე არაფერს ვამბობ, უბრალო ბიჟუტერია, იაფფასიანი პომადა, მეორადი და რაც მთავარია, ძველი ტანსაცმელი... ვის რაში სჭირდება? არაფერში და ამიტომ მგონია, რომ დედას ის ვერაგი დაავადება ეწყება“, – გოგო აშკარად ნერვიულობდა და ამის მიუხედავად, სამართალდამცავებს არ უთქვამთ, რომ ექსპერტმა შეღწევა დაადასტურა.

საინტერესო ის იყო, რომ გოგონას მონაყოლი რეალობასთან ძალიან ახლოს გახლდათ. დაკარგული ნივთების ჩამონათვალი სასაცილო იყო – ხელოვნური მარგალიტის ორი მარცვალი, საყურე, რომელიც ალბათ, არაფერი ღირდა, ახალგაზრდობის დროს ნაყიდი კაბა, რომელიც ქალს უკვე აღარ ეტეოდა, მაგრამ ძალიან უყვარდა, სუნამოს ცარიელი ბოთლი (ისიც ადრინდელი, სტუდენტობიდან შემორჩენილი). ათასი დოლარი კი არა, ასი ლარი თუ მოგროვდებოდა დაკაგრული ნივთების საფასურად, დიდი საქმე იქნებოდა. რაც შეეხება ნივთების გადაადგილებას, ქალი ამბობდა, რომ მისაღები ოთახის მაგიდაზე გრაფინი ჩნდებოდა, რომელსაც სამზარეულოში ინახავდა, რამდენჯერმე გრაფინში ყვავილებიც დახვდა, ოღონდ ერთხელ დამჭკნარი ყვავილები, ქრიზანთემები და ამტკიცებდა, მე არ მომიტანია, მე არ შემინახავსო, მაგრამ...

„ქრიზანთემები ჩემი საყვარელი ყვავილებია. აი, დამჭკნარი რატომ უნდა მოეტანა ვინმეს, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, მომიტანა და დატოვა. ისე, ახალგაზრდობაში შეყვარებული მყავდა, ის მჩუქნიდა ხოლმე ქრიზანთემებს, ჰო, ის საყურეც მან მაჩუქა და უი... ის სუნამოს ბოთლიც, რომელიც მომპარეს“, – განაცხადა ქალმა.

ეს უკვე რაღაც მინიშნება იყო. გამომძიებელმა ვითომ ისე, სასხვათაშორისოდ, ჰკითხა ახალგაზრდობის სიყვარულის სახელი და თანამშრომლებს დავალება მისცა, გამიგეთ, ეგ კაცი ვინ არის და სად ცხოვრობსო. პასუხი, ცოტა არ იყოს, უცნაური იყო – ახალგაზრდა კაცი ციხეში, ჩხუბის გამო მოხვდა, იქიდან ერთ წელიწადში გამოვიდა, შემდეგ რუსეთში წავიდა და გაქრა. ჰო, გაქრა, არც მისი ოჯახის წევრებმა, არც სხვა ვინმემ მისი ადგილსამყოფელი არ იცოდა და მეტიც, ოჯახს გამოტირებულიც ჰყავდა. გამომძიებელი ძალიან დაინტერესდა, რადგან გუმანით გრძნობდა, რომ ყველაფერი ეს სწორედ იმ ახალგაზრდობის სიყვარულისკენ მიდიოდა. ამიტომ, ფრთხილად აიღეს ანაბეჭდები, ეგებ, იმათ დამთხვეოდა, რომლებიც წლების წინ ჰქონდა აღებული ძალოვან უწყებას, თუმცა ანაბეჭდები მეზობლების, ან შვილის და სიძის იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის, ვინც სახლში შედიოდა, პროფესიონალივით მოქმედებდა. კოლეგების სკეპტიციზმის მიუხედავად, გამომძიებელმა ძებნა სწორედ იმ ბიჭზე გამოაცხადა, რომელიც წლების წინ ამ ქალის შეყვარებული იყო. პარალელურად, მან საარქივო საქმეები ამოსწია და მოითხოვა მიეტანათ იმ პატიმრების სია, რომლებიც სასჯელს იმ ბიჭთან ერთად იხდიდნენ.

„ძალიან ცოტაა იმ ადამიანთა ოდენობა, ვისაც ციხე ნამდვილად გამოასწორებს ხოლმე. ამიტომ, მგონია, რომ ის ბიჭი კი არ გამოსწორდა, არამედ, პირიქით – პროფესიონალი კრიმინალი გახდა. ასე არაერთხელ მომხდარა და მომავალშიც მოხდება, ამიტომ მაინტერესებს, ვინ იხდიდა მასთან ერთად სასჯელს და ხომ არ იყო მათ შორის რუსეთის მოქალაქე, რომელსაც გათავისუფლების შემდეგ გაჰყვა“, – ამბობდა გამომძიებელი, თუმცა მეოთხედი საუკუნის წინანდელი არქივის მოძიება მარტივი არ იყო და ამ ამბავს ერთი კვირა დასჭირდა. ამ დროის განმავლობაში, ქალს აღარ უთქვამს, რამე დამეკარგაო და რაც მთავარია, მის სახლთან მუდმივად იდგა ავტომობილი, სადაც ორი ოპერმუშაკი იჯდა და ბინას უთვალთვალებდა.

როცა გამომძიებელმა იმ ადამიანების საქმეების შესწავლა დაიწყო, რომლებიც ეჭვმიტანილთან იხდიდნენ სასჯელს, მისი ყურადღება ერთმა რუსულმა გვარმა მიიპყრო. სწორედ ამ გვარს ჩაეძია, საქმე ცალკე გამოითხოვა და გაარკვია, რომ ეს კაცი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „მედვეჟატნიკი“ იყო. სავარაუდოდ, სწორედ მას გაჰყვა ახალგაზრდა კაცი გათავისუფლების შემდეგ, „ხელობა“ ისწავლა და ახლა, ალბათ, დაბრუნდა, მაგრამ როგორ მოხდა ისე, რომ ერთხელაც არ ჩავარდა, ერთხელაც არსად გამოჩნდა, ეს იყო ყველაზე საინტერესო. გამომძიებელმა საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო – მან ოპერატიული მანქანა მოხსნა და ორი ძალოვანი ამჯერად ქალის ბინაში დატოვა, თანაც ოპერებს ოთხი დღის საკვები ჰქონდათ მიტანილი, ქალი კი მკაცრად იყო გაფრთხილებული, რომ საკვები მხოლოდ თავისთვის უნდა ეყიდა და ჩვეულებრივი რეჟიმით ეცხოვრა. პირველ დღეს არაფერი მოხდა და მეორე დღეს, როცა ის სახლიდან გავიდა, ოპერები გაისუსნენ – კარს გარედან ვიღაც აწვალებდა. ცოტა ხანში, ოთახში მამაკაცი უხმაუროდ შევიდა, ხელში ყვავილები ეჭირა და ის იყო, სამზარეულოში შევიდა (სავარაუდოდ, გრაფინის ასაღებად), რომ კეფაში იარაღის ცივი ლულა იგრძნო.

„არ მესროლოთ, უიარაღო ვარ“, – ჩუმად, მაგრამ მტკიცედ თქვა მან. რა თქმა უნდა, ძალოვნებს ბორკილების დადება არ გასჭირვებიათ. დაზარალებულმა ქალმა დაკავებულში ბავშვობის სიყვარული ამოიცნო. მამაკაცს ჯიბეში პაასპორტი ედო, რუსული სახელითა და გვარით და უკვე ორ დღეში ძალოვნებმა იცოდნენ, რომ მათ წინაშე საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ცნობილი ბინის ქურდი იყო, თუმცა ისე ჩანდა, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარი არავინ იცოდა.

„როცა არაფრის გამო დამაკავეს, ციხეში ეროვნებით რუსი, ბინების ქურდი გავიცანი. გათავისუფლების შემდეგ სამსახურში არავინ გამიკარა, მაგრამ ამ კაცმა მითხრა, რუსეთში წამოდი, დიდ ფულს გაშოვნინებო. წავედი და ორი წელი მხოლოდ საკეტების დაშლა-აწყობაში გავატარე, ყველაფერი ვისწავლე და ამ ხნის განმაავლობაში, მხოლოდ ერთხელ ჩავვარდი. სამწუხაროდ, ჩემი მასწავლებელი მოკვდა და საქართველოში დავბრუნდი. ცოლი არასდროს მყოლია, დავბრუნდი და ის ქალი მოვძებნე, რომელიც მთელი ცხოვრება მიყვარდა. ასე ვერ გამოვეცხადებოდი, ამიტომ ვცდილობდი, იმ ნივთების გადაადგილებით და დაკარგვით მიმენიშნებინა, რომელიც ჩემს თავს ახსენებდა. ვხვდებოდი, რომ ვუყვარდი, რადგან სხვა შემთხვევაში, იმ ნივთებს არ შეინახავდა. ვიცი, ახლა კრიმინალი ჩავიდინე, სხვის ბინაში შევედი, მაგრამ ხომ ხვდებით, რომ ბოროტი განზრახვა არ მქონია. რაც შეეხება კრიმინალს, საქართველოში არაფერი ჩამიდენია და არც ძებნაში ვარ“, – განაცხადა დაკავებულმა.

საყვარელი მამაკაცის გამოჩენით, ქალი ძალიან ბედნიერი იყო და ლამის გაგიჟდა, როცა გაიგო, რომ შეიძლებოდა, დაეკავებინათ. ამიტომ, ყველაფერი გააკეთა, რომ კაცი ციხეში არ წასულიყო, მაგრამ სამართალდამცავებმა თავი მაინც დაიზღვიეს და მას ორწლიანი პირობითი მსჯავრი მისცეს.

რატომ გაითამაშა ბიზნესმენმა თვითმკვლელობა

„ჰეფი ენდით“ დასრულებული ოჯახური დრამა

ბათო ჯაფარიძე

როცა ადამიანი ასაკში შედის, იმაზე იწყებს ფიქრს, თუ ვის ტოვებს, ვინ იქნება მის შემდეგ, რას იტყვიან მასზე შვილები, შვილიშვილები... როცა საქმე დიდ ფულს ეხება, მაშინ საფიქრალიც ბევრია, თორემ როცა არაფერია დასატოვებელი, ყველაფერი თითქოს უფრო მარტივია. იმ ადამიანებს, რომლებსაც დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ, განსაკუთრებით ასაკში, ჰგონიათ, რომ ბევრი მხოლოდ იმიტომ ეპყრობა კარგად, რომ მისი ფული სურთ. ამიტომ, ასაკში ეჭვიც მატულობს და იმის შეგრძნებაც, რომ ფულის გამო ექცევიან ისე, როგორც ექცევიან.

გამოცდილ გამომძიებელთან დიდი ხნის მეგობარი მივიდა და უთხრა, სერიოზული ეჭვი გაუჩნდა, რომ ოჯახის წევრები მის მოშორებას აპირებდნენ. ერთი შეხედვით, ის არ იყო დიდი, სულ რაღაც 65 წლის გახლდათ, მაგრამ რატომღაც ეგონა, რომ ყველა მის სიკვდილს ელოდა.

„ჩემი შვილი ლოთობდა და მკურნალობას ორი წელი მოვანდომე. ამის მიუხედავად, ჩემს საქმეში ვერა და ვერ ჩავრთე, ყველაფერს აგდებულად უყურებს, არ უნდა საქმე ისწავლოს, ასე მგონია, უკვდავი ვგონივარ, მაგრამ მე ხომ ვხვდები, რომ ეს არასერიოზულია. ცოლი კი, იცი, გარდაცვლილი მყავს და ახალგაზრდა ქალს ვხვდები, რომელიც ჩემთან, სახლში გადმოვიდა საცხოვრებლად და ვფიქრობ, რომ ხელი უნდა მოვაწერო. მას ჩემი ქალიშვილი ვერ იტანს და... მასაც ოჯახი არ აქვს, უკვე ოცდაათს გადასცდა და შესაფერისი ვერავინ იპოვა. ერთადერთი, ვინც ცდილობს, რომ ყველაფერი ისწავლოს და საქმე გადაიბაროს, ჩემი მოადგილეა, რომელიც არ მომწონს, რაღაცნაირად არ ვენდობი მაგ კაცს, მაგრამ პროფესიონალია და საქმეს აშკარად მიმსუბუქებს. მოკლედ, არ ვიცი, რა გავაკეთო, ხანდახან ვფიქრობ, ყულფში ხომ არ გავუყარო თავი და ყველაფერი დავასრულო, რაც მოხდება, მოხდეს“, – მშვიდად საუბრობდა კაცი და არც გამომძიებელი აღელვებულა. კარგად იცნობდა მეგობარსაც და ადამიანების ფსიქოლოგიასაც, ამიტომ ღიმილით შეხედა, მერე მხარზე ხელი დაარტყა და მხოლოდ ორი სიტყვა უთხრა – „სიბერე შემოგპარვია!“

ამ ამბიდან ერთი კვირა იყო გასული, როცა გამომძიებელს მეგობრის შვილი დაუკავშირდა და მათ საადგილმამულო სახლში მისვლა სთხოვა. ქალს აშკარად ეტყობოდა, რომ ძალიან ღელავდა და ამიტომ, ძალოვანმაც არ დააყოვნა, მეგობრის აგარაკისკენ გასწია. იქ მისულს მთელი ოჯახი შეკრებილი დახვდა, მოადგილეც კი იქ იყო და ნერვიულად სცემდა ბოლთას.

„გუშინ, საღამოს, ყველა ერთად შეგვკრიბა, თქვა, სიურპრიზი მაქვსო. მერე, როცა შევიკრიბეთ, ოთახიდან გავიდა, ველოდეთ, 5 წუთი, 10, 15... არ მოვიდა. მერე ეზოში გავედით, ვერ ვნახეთ, მერე ძებნა დავუწყეთ, ლამის მთელი დასახლება შემოვიარეთ და ვერსად ვნახეთ. გვეგონა, ასე გვეხუმრა. დილისკენაც რომ არ გამოჩნდა, თქვენ დაგირეკეთ“, – ყველაფერი ეს დაკარგულის ახალგაზრდა მეგობარმა ქალმა გამოთქვა, რომელზეც წესით, ორიოდე თვეში უნდა ექორწინა.

გამომძიებელს ყველაფერი ეს არ მოეწონა და ოპერჯგუფი გამოიძახა, შინაურულად დავძებნოთო. ჯგუფი დასახლებას მოედო და მალე ერთ-ერთმა თქვა, რომ მდინარის ნაპირზე მამაკაცის ტანსაცმელი იპოვეს, პატრონი კი არსად ჩანდა. ოჯახის წევრებმა დაკარგულის ტანისამოსი ამოიცნეს.

„მდინარე ისეთი ცივია, ახლა მხოლოდ გიჟი თუ შევა წყალში. არადა, ის არავინ აიძულა, ტანსაცმელი გაიხადა, ლამაზად დააწყო და... არა... არ მჯერა, არ იზამდა“, – თავის თავს ესაუბრებოდა გამომძიებელი და ვერ იჯერებდა, რომ მეგობარმა თავის მოკვლა გადაწყვიტა და ეს ამ ფორმით გააკეთა. უცებ, დაკარგულის ბიჭმა, რომელსაც ხელში კონიაკით სავსე ბოთლი ეჭირა და წრუპავდა, მოღუშულმა ჩაილაპარაკა – „მამამ ცურვაც კი არ იცოდა“... ეს სიტყვები გამომძიებელს გულზე ლახვარივით დაესო, მაგრამ რა უნდა ექნა? საქმე ოფიციალურად აღძრა და მყვინთავები გამოიძახა, დაკარგულის ცხედარი მდინარის ფსკერზე რომ ეძებნათ.

„უფროსო, აქ ჩქარი დინებაა, თუ მართლა დაიხრჩო, ქვემოთ წაიღებდა და სადაც მდორეა წყალი, იქ უნდა ვეძებოთ“, – უთხრა გამომძიებელს ერთ-ერთმა მყვინთავმა და ისიც თავის დაქნევით დაეთანხმა. მყვინთავებმა მუშაობა დაბინდებულზე შეწყვიტეს, თუმცა ვერაფერი ნახეს და ძებნა მეორე დღისთვის გადადეს. გამომძიებელს კი, ამ დროს პათანატომი ეუბნებოდა, რომ ცივი წყლის გამო, მდინარე ცხედარს, საუკეთესო შემთხვევაში, მეხუთე დღეს ამოაგდებდა, მანამდე კი, დიდი იყო შანსი, რომ მოესილა და საერთოდ ვერ ენახათ. სახლში იყო კიდევ ერთი ქალბატონი, შინამოსამსახურე, რომელიც ოცი წლის მანძილზე, თურმე, დაკარგულს ერთგულად ემსახურებოდა და გამომძიებელს მოეჩვენა, რომ ყველაზე მეტად სწორედ ის წუხდა. ამიტომ, მასთან გასაუბრება გადაწყვიტა.

„საოცარი ადამიანია. ჰო, არის, არ მინდა დავიჯერო, რომ გარდაიცვალა. ამას არ იზამდა, ვერ იზამდა. მასავით კეთილი გულის კაცი არასოდეს შემხვედრია. ესენი კი... ყველას ხელი ჰქონდა გაშვერილი, მხოლოდ ფული სურდათ. იმას რომ რამე დაემართოს... არა, არ უნდა დაემართოს. მე აქ არ გავჩერდები, არავითარ შემთხვევაში, მის გარეშე აქ არაფერი მესაქმება“, – ტირილით ამბობდა შინამოსამსახურე, მაგრამ როგორც გამოჩნდა, მან გაცილებით მეტი იცოდა.

„არ ვიცი, რამდენად მნიშვნელოვანია ეს, მაგრამ ჩემი დაკარგული უფროსის გოგო, მის მოადგილეს ხვდება და მისგან შვილსაც ელოდება. ის არაკაცი ეუბნება, ცოლს გავეყრებიო, მაგრამ არ გაეყრება. ჰო, მისი ახალგაზრდა ცოლი დიეტოლოგთან ღალატობს, ეგეც ვიცი, სატელეფონო საუბარს მოვკარი ყური. ის ლოთი შვილი კარგი გულის არის, მაგრამ ცოტა ქარაფშუტაა. აი, მაგან რომ დალევა შეწყვიტოს, მამის ღირსეული მემკვიდრე იქნება“, – თქვა ქალმა.

გამომძიებელი ცოტა დაიბნა. ხომ შეიძლებოდა, კაცი მის მოადგილეს მოეშორებინა, მერე ცოლად მისივე ქალიშვილი მოეყვანა, მით უმეტეს, თუ შვილსაც ელოდებოდა, ლოთ ცოლის ძმას ადვილად მოიშორებდა და ყველაფერი თავად დარჩებოდა, თუმცა როგორ შეიძლებოდა, დაკარგული დაეყოლიებინა ტანსაცმლის გახდაზე, წყალში შესვლაზე... თანაც, ექსპერტიზა ამბობდა, რომ ტანისამოსს დაზიანება არ ჰქონდა ანუ ის ცოცხალმა ადამიანმა თავისი ნებით გაიხადა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძალადობას ადგილი არ ჰქონდა. სამწუხაროდ, მყვინთავებიც ვერაფერს აკეთებდნენ, ისინი კი ცდილობდნენ, გვამი ენახათ, მაგრამ წყალი მღვრიე იყო, ხილვადობა თითქმის ნულის ტოლი და ამიტომ, უბრალოდ, ხელის შეხებით ეძებდნენ სხეულს, მაგრამ...

ამასობაში, გამომძიებელი კიდევ ერთმა მეგობარმა ნახა და საინტერესო რამ უთხრა: „ახლა არ დამიწყო, ოჯახი გყავს, შვილებიო... მოკლედ, მეგობარ ქალთან ერთად, ქალაქგარეთ გავედი, ერთი სასტუმროა შეტეხილ ადგილას, რა თქმა უნდა, სწრაფად შევედი ნომერში და იქიდანაც სწრაფად გამოვედი, რომ არავის დავენახე. მანამდე, გარემო ფანჯრიდან მოვათვლიერე. აი, მომკალი და ის ჩვენი დაკარგული მეგობარი იმავე სასტუმროშია, რა. დამიჯერე, არ შემეშლებოდა. იმიტომ არ გამოვჩნდი, რომ ქალი, რომელიც მახლდა, ადრე მაგას მოსწონდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და არ მინდოდა, ერთად ვენახეთ“...

გამომძიებელმა მეგობარს მისამართი გამოართვა, თანამშრომელს – მანქანა, რათა თუ მისი მონაყოლი მართალი იყო, „დაკარგული“ არ დაეფრთხო და მითითებულ მისამართზე გავიდა. სასტუმროს ეზოში, დაახლოებით, ერთი საათი „დააბირჟავა“, შემდეგ, მისაღებში შევიდა და წითელპომადიან „დეიდას“ ჯერ საბუთი ანახა, მერე მკაცრად ჰკითხა, ესა და ეს კაცი აქ თუ არისო? ქალმა თავი გადააქნია, პასპორტს თითქმის არავინ გვაძლევს, აღმიწერეთ და გეტყვითო. გამომძიებელმაც მეგობარი დაახასიათა და ქალმა ოთახის ნომერი უთხრა. ძალოვანი კიბეს უხმოდ აუყვა, კარი შეაღო და ლოგინზე წამოწოლილი მეგობარი დაინახა, რომელიც მშვიდად ეწეოდა სიგარეტს. გამომძიებლის დანახვაზე ხმამაღლა გაეცინა, ხომ ვიცოდი, რომ მიმიხვდებოდი და მიპოვიდიო.

„ახლა, არ გინდა საყვდურები. რომ მეთქვა, რაც ჩავიფიქრე, არც დამძებნიდი და ისინიც მიხვდებოდნენ, რომ „ვპაკეტობდი“. სიმართლე მსურდა გამეგო და როგორც ვხვდები, ბევრი გაქვს მოსაყოლი“, – უთხრა „დაკარგულმა“ მეგობარს.

გამომძიებელმა ჯერ კარგი საყვედურებით აავსო ძმაკაცი, მერე კი, ყველაფერი წვრილად მოუყვა და ისიც დააყოლა, შენმა მოსამსახურემ ყველაფერი იცოდა, მაგრამ თქმას ვერ გიბედავდაო. „დაკარგული“ მამის, მეუღლისა და შეფის გამოჩენით „გახარებული“ საზოგადოება მოუთმენლად ელოდა მის სიტყვას.

„პირველი – ჩემი ბიჭი დირექტორის ადგილს იკავებს და პარალელურად, ამპულას იდგამს იმისთვის, რომ სმას საბოლოოდ შეეშვას. მჯერა, დაკისრებულ მოვალეობას თავს გაართმევს. მოადგილე გათავისუფლებულია, ჩემი გოგო თუ აბორტს გაიკეთებს, ჩათვალოს, მამა აღარ ჰყავს და თუ ამ იდიოტს გაჰყვება ცოლად, მამა მაინც აღარ ჰყავს. ჩემი ახალგაზრდა საცოლე სახლიდან მიდის და მე ცოლს ვირთავ, ქალს, რომელსაც ზუსტად ვიცი, რომ ვუყვარვარ“, – განაცხადა „დაკარგულმა“ და ხელი.. შინამოსამსახურეს მოხვია.

შემდეგ ყველაფერი მარტივად განვითარდა – ბიჭმა ამპულის ჩადგმაზე უარი განაცხადა, ისედაც არ დავლევო, პირობა შეასრულა და საქმიანობას მართლა კარგად გაუძღვა. გოგომ შვილი გააჩინა და მარტო ზრდის, კაცი კი, შინამოსამსახურესთან ერთად, ბედნიერად ცხოვრობს.

ბათო ჯაფარიძე

გასულ კვირას, სოციალურ ქსელში გავრცელდა კადრები, სადაც ჩანდა, რომ 89 წლის მოხუცი თანატოლ, უსინათლო მეგობარს ქუჩაში ასეირნებდა. როგორც წერდნენ, მოხუცი ბავშვობის ძმაკაცს ყოველ დღე, ორი-სამი საათით ჰაერზე ასეირნებს და თან მუდმივად ესაუბრება. იშვიათია ასეთი მეგობრობა და მით უმეტეს, ამდენი ხნით. ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ბავშვობის მეგობრობის გარდა, განსაკუთრებული მეგობრობა და ურთიერთობა ყალიბდება იმ ადამიანებს შორის, რომლებიც მხარდამხარ იბრძვიან. ომში მებრძოლები არა მარტო საკუთარ, არამედ, მეგობრის სიცოცხლის გადარჩენაზეც ფიქრობენ და ყველაფერი ეს ისე გადაეჯაჭვება ხოლმე ერთმანეთს, რომ ვეტერანები მეგობრობას სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებენ, ერთმანეთის ნახვა უხარიათ, ერთმანეთი უყვართ და პატივს სცემენ. მათ ხომ ზუსტად იციან, ვინ რა გმირობა ჩაიდინა, ვინ არ შეშინდა, ვინ ვისი გულისთვის გადაეფარა ტყვიას...

ვინ ემუქრებოდა ცოლ-შვილის მკვლელობით ავღანეთის ომის ვეტერანს

„მაგ იდიოტებს უთხარი, რომ ვერ მომატყუებენ... რაც მოხდება, შენს თავს დააბრალე“

„არ ვიცი, რა ვიფიქრო. თქვენს იქეთ გზა არ მაქვს. ბოლო დროს ვიღაც მუქარის წერილებს მიგზავნის და ფულს მთხოვს. რომ გითხრათ, თავზე გადამდის ქონება-მეთქი, მოგატყუებთ. სანტექნიკის ერთი პატარა მაღაზია მაქვს, სადაც ბევრი ხარჯი რომ არ გავწიო, გამყიდველად თავად ვმუშაობ. ორი შვილი მყავს, ერთი პირველი ცოლისგან, რომელიც გარდაიცვალა, მეორე კი, ხუთი წლის წინ შევირთე და 3 წლის გოგონა მყავს. უფროს ბიჭს ოროთახიანი ბინა დავუთმე, 22 წლისაა, ცდილობს, რაღაცები აკეთოს და ამ ასაკში, ალბათ, მარტო ყოფნა უფრო ურჩევნია. მე, მეუღლესთან ერთად, ოთხოთახიან ბინაში ვცხოვრობ. მესმის, რომ ვიღაცამ შეიძლება იფიქროს, ორი ბინა უკვე ქონებაა, მაგრამ მეორე მეგობარმა მაჩუქა, ჩემმა მეთაურმა, რომელთან ერთადაც ავღანეთში ვიბრძოდი და რომ არა ის, ვერაფერს ვიყიდდი და იმ ოროთახიანში ვიქნებოდი. რამდენიმე წერილი მივიღე, რომ თუ ფულს არ გადავიხდი, ცოლ-შვილს მომიკლავენ. ვინც წერილებს მწერს, მეუბნება, რომ ბინა უნდა გავყიდო და ფული მივცე. საუბარი იმ ბინაზეა, რომელშიც ვცხოვრობ, თორემ ის თანხა, რაც წერილებშია მითითებული, ოროთახიანი ბინის გაყიდვით ვერ მოგროვდება. თავიდან ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ ამ დილით, ცოლმა შვილი ბაღში რომ წაიყვანა, ვიღაც ზურგიდან მიეპარა და მთელ სიგრძეზე, ქურთუკზე, დანა დაუსვა და გაუჭრა. ცოლს თავდამსხმელის სახე არ დაუნახავს, მას ქუდი ეფარა და სახე სვიტერის საყელოთი ჰქონდა დაფარული. ამიტომ მოვედი თქვენთან“, – პოლიციაში მისული მამაკაცი აშკარად ჩაფიქრებული იყო. მას შიში არ ეტყობოდა, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ საქმე სერიოზულად იყო და არ აპირებდა ყველაფერ ამას მარტო გამკლავებოდა.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს. პირველი, რაც თავში აზრად მოუვიდათ, ხომ არ უკავშირდებოდა ყველაფერი საბრძლო წარსულს, მაგრამ რა უნდა მომხდარიყო ავღანეთში ისეთი, რომ ვიღაცას შურისძიება ასე სასტიკად გადაეწყვიტა? ამიტომ, სწორედ იმ პერიოდზე, ცოტა მეტი ჰკითხეს.

„რა უნდა ვთქვა? ვიბრძოდი ისე, როგორც ყველა. ერთხელ მეთაური სიკვდილს გადავარჩინე. მერე დავბრუნდი და შრომა დავიწყე. რამდენიმე წლის წინ, ჩემი მეთაური ვნახე ქუჩაში, შემთხვევით. ძალიან ცუდად იყო, მას ცოლი გარდაეცვალა, გერი კი სახლიდან წავიდა და მამინაცვალს არ პატრონობდა. არც კი იცოდა, სად იყო და როგორ იყო, ხუთი წელია, არ მოვუკითხივარო. შევეცადე, მეთაურს გვერდში ამოვდგომოდი, მას რაღაც დანაზოგი ჰქონდა, მომვლელი ქალი ავუყვანე, სამედიცინო პროგრამებით მკურნალობა დავანიშნინე, ძველი თანამებრძოლები მოვაგროვე, ცოტ-ცოტა ყველამ დადო და სასიკვდილოდ გადადებული კაცი, კიდევ სამი წელი ვაცოცხლე. მაინც მოგვიკვდა და როცა ანდერძი გახსნეს, იქ ეწერა, რომ ბინას მე მიტოვებდა. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი და ცოტა გამიკვირდა კიდეც. მეტიც, მისი დედმამიშვილები მოვიკთხე, მაგრამ დედისერთა იყო... არასდროს საუბრობდა ოჯახზე, მშობლები გარდაცვლილი ჰყავდა. ჰოდა, გავიფორმე ბინა და დავიწყე ცხოვრება. ახლა კი ვიღაც სწორედ ამ ბინის გაყიდვას მთხოვს, ცოლ-შვილის სიცოცხლის სანაცვლოდ“, – ამბობდა მოსული.

გამოძიებამ მუშაობა დაიწყო. ყოველი შემთხვევისთვის, დაზარალებულის უფროსი შვილი დაკითხეს, იმან კიდევ მხრები აიჩეჩა, მე არავინ დამმუქრებია, არც მიგრძვნია, რომ ვინმე დამყვება, ან რამეს მიპირებსო. რა თქმა უნდა, ორი ოპერმუშაკი, განმცხადებლის ცოლსა და პატარა გოგონას უკან ლანდივით დაჰყვებოდა. ექსპერტმა წერილების დამუშავება დაიწყო, მაგრამ ბევრი ვერაფერი შედეგი დადო – წერილები ჩვეულებრივ ფურცელზე იყო დაწერილი, ჩვეულებრივი კალმით და ქაღალდიდან თითის ანაბეჭდების აღება წარმოუდგენლად ჩანდა. მორიგი წერილი კი, დაზარალებულს პოლიციაში მისვლიდან ორ დღეში მიუგდეს.

„თუ გგონია, პოლიცია გიშველის, ძალიან ცდები. ან ბინას გაყიდი და ფულს გადაიხდი, ან ცოლ-შვილს დაემშვიდობე. ყველაფრისთვის ზუსტად ერთი კვირა გაქვს, მერე რაც მოხდება, საკუთარ თავს დააბრალე“, – ეწერა წერილში. ძალოვნები მიხვდნენ, რომ დამნაშავის გამოსავლენად ერთი კვირა ჰქონდათ და ახლა დაზარალებულის წარსულს ჩაუსხდნენ. თავდაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ის კარგი მებრძოლი იყო, დისციპლინირებული და ჯილდოების გარდა, არაფრი მიუღიაო. დაჰკითხეს მისი რამდენიმე მეგობარიც, რომლებმაც დადებითის გარდა, არაფერი თქვეს და ისიც დააყოლეს, იყვნენ ჯარისკაცები, რომლებიც ფსიქიკურად იშლებოდნენ, ამას კი მსგავსი არაფერი ჰქონია და არც რამე სისასტიკე ჩაუდენიაო. მაშინ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო იმის მოსურნე, რომ კაცს ბინა გაეყიდა, ფული გადაეხადა...

ასე, ფიქრსა და მსჯელობაში მიილია ერთი კვირა და სამართალდამცავებმა, თავის დაზღვევის მიზნით, ვეტერანს ბინა თითქოს გააყიდინეს, თითქოს ფულიც ააღებინეს და გადაცემისთვის საჭირო დროც შეარჩიეს, მაგრამ ადგილზე მისულებს მხოლოდ ისევ წერილი დახვდათ.

„მაგ იდიოტებს უთხარი, რომ ვერ მომატყუებენ. ზუსტად ვიცი, ჩანთაში ფული არ გექნება, არც ბინა გაგიყიდია და ამიტომ, რაც მოხდება, შენს თავს დააბრალე“... გამომძიებელმა სასწრაფო წესით, დაზარალებული გამოსაკითხად წაიყვანა.

„ახლა გონება უნდა დაძაბო და თქვა, ვის უთხარი, რაც უნდა გაგვეკეთებინა და ვინ იცოდა, რომ სინამდვილეში, ბინა გაყიდული არ იყო“, – გამომძიებელი ძალიან მკაცრი და კატეგორიული იყო.

ვეტერანი დაიბნა, არავისთვის მითქვამს, მხოლოდ ცოლმა იცოდა და ისიც იმიტომ, რომ ყველაფერი მაშინ დავგეგმეთ, როცა ის სახლში იყოო. ჰო, ცოლის თვალთვალი და იმის შესაძლებლობა, რომ მას საყვარელი ჰყოლოდა და ქმართან დაშორების შემდეგ, ფულის წაღებასაც აპირებდა, არავის განუხილავს. ამიტომ, ცოლზე თვალთვალი დააწესეს, ახალი სპეცოპერაცია დაგეგმეს და ამჯერად, ჩანთაში ნამდვილი ფული ჩადეს. გამოძიება დარწმუნებული იყო, რომ ქალი თანამზრახველზე გავიდოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, მას არავისთვის დაურეკავს, არც ვინმეს შეხვედრია. სამართალდამცავებმა ჩათვალეს, რომ ეს ნიშანი იყო ანუ ამით ქალი მიანიშნებდა, რომ ყველაფერი რიგზე გახლდათ და ზედმეტად არ იშიფრებოდა. ამიტომ, ფულის გადაცემამდე ერთი დღით ადრე, ვითომ რაღაც შეცვალეს, ჩანთაში გადამცემი ჩააყენეს, რამდენიმე დასტა უბრალო ქაღალდით შეცვალეს და ყველაფერი ეს ქალის დასანახად, მაგრამ ის უემოციოდ გახლდათ და მხოლოდ იმას იმეორებდა, ჩემი შვილი დაიცავითო. ამასობაში, მამასთაან შვილი მივიდა, რომელმაც იკითხა, რამეში ხომ არ შემიძლია დახმარებაო, მერე კი, დედინაცვალი სამზარეულოში გაიყვანა და იმას ეჩურჩულებოდა. როცა ის წავიდა, ქალმა გამომძიებელს ჩაფიქრებულმა შეხედა და...

„წინაზეც, მხოლოდ მან იცოდა, რა და როგორ უნდა მომხდარიყო. მეტი არავისთვის მითქვამს და ამას იმიტომ ვუთხარი, რომ... ის ხომ შვილია, ჩემი ქმრის შვილი“, – ქალი აშკარად გაოცებული და შეშინებული იყო. სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ კი ყველაფერი გააუქმეს და ორმა ოპერჯგუფმა თვალთვალი ბიჭს დაუწყო, თან დაზარალებულს არაფერი უთხრეს, უბრალოდ, დროის გაწელვა ურჩიეს. შინიდან არც ის გადიოდა, არც – მისი ცოლ-შვილი და საკვები მათთან ოპერებს მიჰქონდათ. სამდღიანი თვალთვალის შემდეგ, ოპერჯგუფმა დაადასტურა, რომ ბიჭი ბინაში მარტო არ ცხოვრობდა და ბოლო სამი დღის განმავლობაში, მასთან ორჯერ დარჩა ახალგაზრდა ბიჭი. მეტიც, ძალოვნებმა მისთვის ფოტოს გადაღება მოახერხეს და დაზარალებულს ანახეს. მან სურათს დახედა, მხრები აიჩეჩა და დაბეჯითებით თქვა – ზუსტად ვიცი, რომ სადღაც მინახავს, მაგრამ სად, წარმოდგენა არ მაქვსო. მეუღლემაც იგივე გაიმეორა, ძალიან მეცნობა, მაგრამ ვერ ვიხსენებ, სად შეიძლება მყავდეს ნანახიო. საჭირო იყო მისი ვინაობის დადგენა, მაგრამ სამართალდამცავები ღიად მოქმედებას ვერ დაიწყებდნენ. ამიტომ, თვალთვალი ორივეზე გაგრძელდა და მალე ძალოვნებმა მეორე ბიჭის ვინაობა გაარკვიეს. ის გარდაცვლილი მეთაურის გერი აღმოჩნდა.

„ჰო, ახლა გავიხსენე. ბინაში რომ გადმოვედით, ჩემი მეთაურის ნივთებს ვალაგებდით და რამდენიმე ფოტო შემხვდა. ალბათ, წლების წინ გადაღებული იყო ბიჭის სურათები, ამიტომ მეცნო იერით, ისე კი, ვერ გავიხსენე, კი, მისი გერია“, – თქვა დაზარალებულმა და ძველი სურათები მაგიდაზე გაშალა.

ახლა ის იყო საინტერესო, რა აკავშირებდათ ბიჭებს ერთმანეთთან და რაც მთავარია, რისთვის სურდათ ვეტერანისთვის ფულის გამოძალვა. ეჭვმიტანილების თვალთვალი ისევ გრძელდებოდა, როცა დაზარალებულის შვილი მამის ბინასთან მივიდა, კართან წერილი დააგდო და მერე დააკაკუნა, ზღურბლს ისე გადააბიჯა, თითქოს წერილი არც დაუნახავს და გათვლაც ეს იყო – წერილი უკან წამოსვლის დროს უნდა ენახათ, თუმცა ძალოვნებმა იქვე, კარის ზღურბლზე დააკავეს. დამალვას აზრი არ ჰქონდა.

„ბიზნესის დაწყება მინდა, მამაჩემი ფულს ვერ მაძლევდა, არადა, სარფიანი საქმეა. მერე გავიცანი ეს ბიჭი, მითხრა, ვინც იყო და გეგმაც დავსახეთ. ამ ბინაში აღებულ ფულს გავიყოფდით, მასაც ხომ ერგებოდა მამინაცვლისგან რამე და მერე ბიზნესს რომ ავაწყობდით, მამას ახალ ბინას ვუყიდდი“, – განაცხადა ბიჭმა.

ვეტერანმა ყველაფერი გააკეთა, რომ ბიჭები არ დაეკავებინაათ, შემდეგ ის ოროთახიანი ბინა გაყიდა, შვილი თავისთან გადაიყვანა, ფულის ნახევარი გარდაცვლილი მეთაურის გერს მისცა, მეორე ნახევარი – შვილს, ბიზნესის დასაწყებად.

ვახტანგ გომელაურმა პარლამენტში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეულ საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატი, ვახტანგ გომელაური პარლამენტში, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების ფორმატში, მოხსენებით წარსდგა.

ვახტანგ გომელაურმა დეპუტატებს საქართველოს მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრებად არჩევა მიულოცა და მათ წარმატებული საქმიანობა უსურვა.

ვახტანგ გომელაურმა, საკანონმდებლო ორგანოში, დეტალურად ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმებისა და უწყების სამომავლო გეგმების შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, დეპუტატებს ინფორმაცია მიაწოდა, პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით განხორციელებული კრიმინალური პოლიციის რეფორმის, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის განვითარების, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გაწეული საქმიანობის თაობაზე, ასევე, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობაზე, სამინისტროს ავტორობით განხორციელებულ მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებზე, ბოლო წლებში სამართალდამცველების ანაზღაურების მნიშვნელოვან ზრდაზე, სამინისტროში განხორციელებულ და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

სიტყვით გამოსვლისას ვახტანგ გომელაურმა ყურადღება გაამახვილა დანაშაულის კლების ტენდენციაზე, ასევე, რეგისტრირებული დანაშაულის გახსნის უპრეცედენტოდ მაღალ მაჩვენებელზე.

ვახტანგ გომელაურმა სიტყვით გამოსვლისას, ასევე, განაცხადა, რომ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური შესაძლებლობების განვითარება. მისივე თქმით, სამინისტრო აქტიურად მუშაობს დნმ-ის მონაცემთა ბაზის შექმნაზე, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის დანაშაულის გამოძიების ხარისხს.

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა სიტყვით გამოსვლისას, ასევე, ყურადღება გაამახვილა სამინისტროს თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებასა და სპეციალიზაციის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებზე.

მოხსენების დასასრულს, ვახტანგ გომელაურმა საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვისთვის უწყების თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატმა, კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე, დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავად უპასუხა.

ვახტანგ გომელაურმა საკანონმდებლო ორგანოში, მედიის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებსაც უპასუხა.

ბრიფინგი შინაგან საქმეთა სამინისტროში

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ალექსანდრე დარახველიძის ბრიფინგი:

გვსურს, საზოგადოებას კიდევ ერთხელ მივაწოდოთ ინფორმაცია, ბოლო დღეებში, რუსთაველის გამზირსა და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების შესახებ.

როგორც საზოგადოებამ ნათლად იხილა, საპროტესტო აქცია არაერთხელ გასცდა შეკრებისა და მანიფესტაციის კანონით დაშვებულ ნორმებს და გადაიზარდა ძალადობრივ ქმედებებში.

დეტალურად მივყვეთ აქციის მონაწილეთა ქმედებებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაგირების ქრონოლოგიას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, ყველა შეკრება-მანიფესტაციის დროს არიან მობილიზებულნი და იცავენ საზოგადოებრივ წესრიგს.

საპროტესტო აქციის დაწყების შემდეგ, საპოლიციო ძალები განლაგდნენ ჩიტაძისა და პარლამენტის უკანა შესასვლელის მიმდებარე ტერიტორიაზე, იმგვარად, რომ შეკრება-მანიფესტაციის მონაწილეებს, საშუალება ჰქონდათ მშვიდ ვითარებაში, თავისუფლად გამოეხატათ პროტესტი.

მიუხედავად ამისა, აქციის მონაწილეთა ნაწილმა გადაინაცვლა პარლამენტის უკანა შესასვლელის მიმდებარედ და დაიწყეს პროვოკაციული ქმედებების განხორციელება, რაც გამოიხატა პოლიციის მიმართ სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში. ასევე, აქციის მონაწილეები პარლამენტის უკანა შესასვლელთან და ჩიტაძის ქუჩაზე მყოფ პოლიციელებს ესროდნენ ქვებს, შუშის ბოთლებს, პიროტექნიკას, სხვადასხვა რკინის საგანს, კვერცხებს, საღებავებს, პოლიციელებს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. აქციის მონაწილეთა მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების შედეგად, რამდენიმე პოლიციელმა სხვადასხვა, მათ შორის, მძიმე სახის დაზიანება მიიღო.

სიტუაციის დეესკალაციისა და სამართალდამცველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, საპატრულო და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები ჩაენაცვლებინა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის სპეციალური აღჭურვილობის მქონე თანამშრომლებით, თუმცა სამართალდამცველთა მიმართ ძალადობრივი ქმედებები მაინც გრძელდებოდა საათების განმავლობაში.

პირდაპირი ეთერების საშუალებით, ყველამ ნათლად იხილა, რომ აქციის მონაწილეთა ნაწილმა გადაინაცვლა ჭიჭინაძის ქუჩაზე მდებარე პარლამენტის შენობის ჭიშკართან და დაიწყო ჭიშკრის ჯგუფური დაზიანება, რომლის სავარაუდო მიზანსაც საკანონმდებლო ორგანოში შეჭრა წარმოადგენდა.

მიუხედავად აქციის მონაწილეების მიმართ სამართალდამცველების მხრიდან გაკეთებული არაერთი მოწოდებისა, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ოფიციალურად გავრცელებული განცხადებებისა, რომ მათ შეეწყვიტათ ძალადობრივი ქმედებები და პროტესტი გამოეხატათ მშვიდობიან ფორმებში, აქციის მონაწილეები განაგრძობდნენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ აქციის მონაწილეთა დესტრუქციული ქმედებები, საფრთხეს უქმნიდა როგორც პროტესტის მონაწილეთა, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

პროტესტის გამომხატველთა ქმედებები, არაერთხელ გასცდა შეკრება-მანიფესტაციის კანონით განსაზღვრულ ჩარჩოებს და გადაიზარდა ძალადობრივ ქმედებებში. შესაბამისად, პოლიციის მხრიდან, კანონის შესაბამისად განხორციელდა პარლამენტის შენობის მიმდებარე ქუჩების გათავისუფლება მოძალადე ჯგუფებისგან.

აღნიშნულის მიუხედავად, ძალადობრივი ჯგუფის წევრები განთავსდნენ რუსთაველის გამზირზე, სასტუმრო „თბილისი მერიოტის“ წინ, კვლავ აგრძელებდნენ პოლიციის მიმართ აგრესიულ და ძალადობრივ ქმედებებს, რაც გამოიხატა სხვადასხვა ნივთების და პიროტექნიკის სროლაში.

გარდა ამისა, მოძალადე ჯგუფებმა, ხელოვნურად ჩახერგეს რუსთაველის გამზირი სკამებით, ნაგვის ურნებით, ე.წ. „სკუტერებით“, მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე კაფე-ბარების საკუთრებაში არსებული ინვენტარით და შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს.

ასევე, დააზიანეს მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული, როგორც კერძო, ისე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურა, ცეცხლი წაუკიდეს ნაგვის ურნებსა და ხის სკამებს.

საზოგადოება ნათლად ხედავდა, რომ ძალადობრივი ჯგუფები მუდმივად აგროვებდნენ დიდი ზომის ქვებსა და სხვადასხვა სამშენებლო ნარჩენებს, პოლიციელებზე თავდასხმის მიზნით. შესაბამისად, პოლიციამ მიიღო გადაწყვეტილება და რუსთაველის გამზირზე უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა და ხელოვნურად მოწყობილი ბარიკადებისგან გათავისუფლება. აღნიშნულ პროცესში პოლიციის მხრიდან დაკავებული იქნა 107 პირი.

ორი დღის განმავლობაში, საპროტესტო აქციის მონაწილეთა ძალადობრივი ქმედებების შედეგად მძიმედ დაშავდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 42 თანამშრომელი. ისინი აქციიდან სხვადასხვა დაზიანებით, მათ შორის, დამწვრობებითა და მოტეხილობებით სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანეს.

კიდევ ერთხელ ვაფრთხილებთ და მოვუწოდებთ აქციის მონაწილეებს, პროტესტი გამოხატონ კანონით დასაშვებ ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სიტუაციის დეესკალაციის მიზნით, გაატარებს კანონით მინიჭებულ ყველა ღონისძიებას.

კვარას საგოლე პასი და ქართველების წაგებები

გასულ უქმეებზე, ევროპის სტადიონებზე, საქართველოს ნაკრების წევრებმა მორიგი შეხვედრები გამართეს. სიმართლე გითხრათ, ცოტა მეტს ველოდით, მაგრამ...

ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიმ“ სტუმრად „ტორინო“ დაამარცხა. ერთადერთი გოლი, ნეაპოლელებმა ხვიჩას პასის შემდეგ გაიტანეს და ზოგადად, ქართველი შემტევი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იტალურმა მედიამ დაწერა, რომ გუნდის გამარჯვებაში ლომის წილი, სწორედ ქართველს უდევს, რომელიც მწვრთნელმა მოედნიდან მე-80 წუთზე გაიყვანა.

ბუდუ ზივზივაძის „კარლსრუემ“, საკუთარ მოედანზე, უშუალო კონკურენტ „ჰამბურგთან წააგო. ქართველი ფორვარდისთვის ეს საუკეთესო შეხვედრა არ ყოფილა და მთლიანად, მასპინძლებმა რაღაც დაბნეულად ითამაშეს. ბუდუს გუნდს ბუნდესლიგაში აღზევების ძალიან კარგი შანსი აქვს და ნებისმიერ ქულას ოქროს ფასი ადევს. ამიტომ, შემდეგ მატჩებში მათ მეტი ყურადღება მართებთ.

თავისი შეხვედრა წააგო ზურიკო დავითაშვილის „სენტ ეტიენმა“. ქართველმა მატჩი ძირითადში დაიწყო და 67-ე წუთზე შეცვალეს, თუმცა მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან დაბალი იყო. მიმდინარე სეზონში, ზურიკოს გუნდისთვის ეს მეშვიდე გასვლითი შეხვედრა იყო, საიდანაც „სენტ ეტიენმა“ 6 წააგო და მხოლოდ ერთი ფრე აქვს.

„მალიორკასთან“ სტუმრად დამარცხდა გიორგი მამარდაშვილის „ვანლენსია“. ქართველი კიპერი დამაჯერებლად კი გამოიყურებოდა, მაგრამ „ვალენსიას“ დაცვა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ წაგების შემდეგ, მამარდას გუნდი სატურნირო ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება და გავარდნის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია.

ბოლოადგილოსან „ალტახს“ ვერაფერი მოუხერხა ოთარ კიტეიშვილის „შტურმმა“ და შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა. გრაცელთა ქართველი კაპიტანი მაატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი დაასახელეს, მაგრამ ეს წაფორხილება აქტივში ნამდვილად არ ჩაეწერებათ. მართალია, „შტურმი“ გათამაშების ცხრილს ისევ სათავეში უდგას, მაგრამ მდევარი უკვე 3 ქულით მიუახლოვდა.

უგოლო შეხვედრა ჩაატარა გიორგი ჩაკვეტაძის „უოტფორდმა“. ქართველმა შეუცვლელად ითამაშა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ მისმა გუნდმა საჭირო სამი ქულის მოპოვება ვერ მოახერხა.

სტუმრად დამარცხდა გიორგი წიტაიშვილის „გრანადა“. ქართველი ფეხბურთელი მოედანზე 77-ე წუთამდე იყო და მარცხის მიუხედავად, მის კლუბს მდგომარეობის გამოსწორება და პრიმერადივიზიონში აღზევების შესაძლებლობა აუცილებლად ექნება.

გიორგი მიქაუტაძემ „ლიონის“ რიგებში, ევროპალიგაზე ორი გოლი გაიტანა და იმედი გვქონდა, რომ „ნიცასთან“ საშინაო შეხვედრაში, ძირითად შემადგენლობაში იქნებოდა, თუმცა შუა კვირაში ბრწყინვალე თამაშის მიუხედავად, მწვრთნელმა საფრანგეთის ლიგა ერთის შეხვედრაში, ჟორჟი თადარიგში დატოვა. ქართველმა ფორვარდმა ბოლო 20 წუთი ითამაშა და დროის სიმცირის მიუხედავად, ძალიან აქტიური იყო. „ლიონმა“ შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო და საჩემპიონთალიგო ზონას მიუახლოვდა.

როგორ დაიწყო და როგორ დაასრულა კარიერა მომავალმა პრეზიდენტმა

მიხეილ ყაველაშვილი – ერდოღანის თანატოლი და პელეზე „დიდი“

ძალიან, ძალიან დიდი ალბათობით, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ყოფილი წევრი, მე-10 და მე-11 მოწვევის პარლამენტარი, მიხეილ ყაველაშვილი საქართველოს მეექვსე პრეზიდენტი გახდებაა. ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის, გიორგი მარგველაშვილისა და სალომე ზურაბიშვილის შემდეგ, ყაველაშვილი იქნება პირველი, ვინც პრეზიდენტის პოსტს ისე დაიკაავებს, რომ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ ექნება. ამის გამო, ის თავის დროზე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვერ გახდა, რადგან ფეხბურთის ფედერაციის წესდებაში წერია, რომ კანდიდატს და შესაბამისად, მომავალ პრეზიდენტს, უმაღლესი განათლება უნდა ჰქონდეს.

ასეა თუ ისე, ყაველაშვილი საქართველოს პრეზიდენტია და საინტერესოა, რა გზა განვლო მან მანამ, სანამ საპრეზიდენტო კანდიდატი გახდებოდა. ჰო, აქვე გეტყვით, რომ მას 35-ე საფეხბურთო სკოლა აქვს დამთავრებული და მისი კლასელები ასევე ცნობილი ვეტერანი ფეხბუთელი, გოჩა ჯამარაული და ცნობილი ექიმი, მსახიობი და შოუ-მენი, ოთარ ტატიშვილი გახლდნენ.

მიხეილ ყაველაშვილი 1971 წლის 22 ივლისს, ბოლნისში დაიბადა. 1988 წელს, თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხა, შემდეგ ძირითად გუნდში გადავიდა და იქ 1995 წლამდე ითამაშა. უფრო ზუსტად კი, ის „დინამოს“ კუთვნილება იყო, როცა 1994 წელს, ვალერი გაზაევმა ვლადიკავკაზის „ალანიაში“ წაიყვანა. „დინამოში“ ყაველაშვილმა 132 შეხვედრაში 80 გოლი გაიტანა და საქართველოს არაერთგზის ჩემპიონია. „ალანიაში გატარებულ ერთ წელიწადში, მან 24 შეხვედრაში, 12 გოლის გატანა მოახერხა და კარიერა ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში“ განაგრძო, თუმცა 28 შეხვედრაში მხოლოდ 3 გოლის გატანა მოახერხა და 1997 წელს, შვეიცარიულ „გრასჰოპერსს“ მიაშურა. „გრასჰოპერში“ მან 59 მატჩში 20 გოლი გაიტანა და 1999 წელს, ასევე შვეიცარიულ „ციურიხში“ გადავიდა, სადაც 2002 წლამდე ითამაშა და 81 შეხვედრაში, 28 გოლის გატანა შეძლო. 2002/03 წლებში, ის შვეიცარიული „ლუცერნის“ ღირსებას იცავდა (25 მატჩი, 5 გოლი), შემდეგ იყო ისევ შვეიცარია და „აარაუ“ (16 მატჩი, 8 გოლი), საიდანაც ისევ „ალანიაში“ დაბრუნდა, 7 შეხვედრაში გოლი ვერ გაიტანა და ისევ შვეიცარიას მიაშურა – „ბაზელში“ გატარებულ ერთ სეზონში, მან 14 შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა. სულ მის საკლუბო კარიერაში, 396 მატჩში გატანილი 166 გოლია. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, მან 1992-2002 წელში, საქართველოს ღირსება 46 შეხვედრაში დაიცვა და მეტოქეთა კარი ცხრაჯერ აიღო.

ტიტულები:

საქართველოს ჩემპიონი – (1990, 1994, 1995);

რუსეთის ჩემპიონი – 1995;

შვეიცარიის ჩემპიონი – 1998.

რაც შეეხება ფეხბურთელებს, რომლებსაც პრეზიდენტობა სურდათ. ბრაზილიის პრეზიდენტის პოსტზე, თავის დროზე, კენჭი იყარა ედსონ არანტეს დო ნასიმენტუ პელემ, მაგრამ დამარცხდა. სამაგიეროდ, აგერ უკვე მერამდენე წელია, თურქეთს ყოფილი ფეხბურთელი, რეჯებ ტაიპ ერდოღანი მართავს. თავის ქვეყანაში, საპრეზიდენტო მარათონში დამარცხდა „ოქროს ბურთის“ მფლობელი ჟორჟ ვეაც და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ არცთუ ურიგო მეკარის კარიერა ჰქონდა რომის ყოფილ პაპს, იოანე პავლე მეორეს.

კონკრეტული წინადადება – 80 მილიონი ტრანსფრი და 9 მილიონი ხელფასი კვარაცხელიას

ყველა ხვდება, რომ ასე დაუსრულებლად ვერ გაგრძელდება. სათვალავიც კი აგვერია, მერამდენედ შეხვდნენ ერთმანეთს „ნაპოლის“ ხელმძღვანელობა და ხვიჩა კვარაცხელიას აგენტი, მაგრამ ახალ კონტრაქტზე შეთანხმება ვერ ხერხდება. აქამდე საუბრობდნენ, რომ მთავარი განსახილველი თემა ხელფასი იყო, მაგრამ უკვე გაირკვა, რომ რეალურად, მხარეები არა ხელფასზე, არამედ, გამოსასყიდ თანხაზე ვერ თანხმდებიან. აურელიო დე ლაურენტისს სურს, რომ კონტრაქტში ქართველის გამოსასყიდ თანხად 120 მილიონი ევრო ეწეროს მაშინ, როცა ფეხბურთელის აგენტი მხოლოდ 80 მილიონზეა თანახმა. ადვილი მისახვედრია – დე ლაურენტისი კარგად ხვდება, რომ კვარაცხელიას დიდხანს არავინ შეარჩენს და ცდილობს, მის სანაცვლოდ მაქსიმუმი გამოწუროს. ისე, იმასაც შეგახსენებთ, რომ ხვიჩას სანაცვლოდ, „ნაპოლიმ“ 10 მილიონი ევრო გადაიხადა, საიდანაც 4 მილიონი ბათუმის „დინამოს“ დარჩა, 6 მილიონი კი, ყაზანის „რუბინმა“ წაიღო. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ითქვა.

ახლა კი, საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალ მთავარ მწვრთნელს, რუბენ ამორიმს მომავალი სეზონისთვის, გუნდში ვიქტორ ოსიმენისა და ხვიჩა კვარაცხელიას დუეტის აღდგენა სურს და ორივე ფეხბურთელთან დაკავშირებით მოლაპარაკებები, სწორედ „ნაპოლისთან“ მიმდინარეობს, თუმცა ინგლისური მედია წერს, ოსიმენის გადაბირება თუ არ გამოვა, ამორიმი ყველაფერს გააკეთებს, რომ „მანჩესტერის“ გზას ხვიჩა აუცილებლად გააუყენოს.

„80 მილიონი ევრო კვარაცხელიას სანაცვლოდ, თავად ფეხბურთელს კი, 8 მილიონი ხელფასად და პლუს ადვილად მიღწევადი ბონუსები, რომლის გამოც, კვარას სეზონში კიდევ ერთი მილიონი დაემატება. ეს თითქმის ის წინადადებაა, რომელიც ფეხბურთელს „პარი სენ ჟერმენმა“ შესთავაზა. საეჭვოა, დე ლააურენტისი 80 მილიონს დათანხმდეს, მაგრამ თუ კვარაცხელიასთან კონტრაქტი ვერ გაფორმდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი, შესაძლოა, ერთი წლის შემდეგ, საერთოდ უფასოდ წავიდეს, რაც ყველაზე კარგად, სწორედ ნეაპოლში იციან“, – წერს იტალიური მედია.

დათუნაშვილს ტიტულებს და მედლებს ართმევენ

სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს ანტიდოპინგურმა სამმართველომ დაადგინა, რომ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ორგზისა და ევროპის სამგზის ჩემპიონმა, ზურაბ დათუნაშვილმა დოპინგის წესები დაარღვია, რის გამოც 5-წლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. გარდა ამისა, დათუნაშვილს, რომელიც 2019 წლიდან, სერბეთის სახელით ასპარეზობდა, 2021 წლის 27 მაისის შემდეგ მიღებულ ყველა მედალს ართმევენ. როგორც ირკვევა, გადაწყვეტილება დათუნაშვილმა ნაწილობრივ გაასაჩივრა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: 2023 წლის 11 აპრილს, დათუნაშვილს შარდის შეცვლისა და ყალბი მტკიცებულებების გამოყენების გამო, დროებითი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ფაქტი 2022 წლის 6 იანვარს დაფიქსირდა, როცა მოჭიდავის მოძებნა ვერ მოხერხდა. 2023 წლის 22 ნოემბერს, საქმე სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს ანტიდოპინგურ სამმართველოს გადაეცა, მოსმენა კი 2024 წლის 1 და 2 ივლიის გაიმართა.

2024 წლის 10 სექტემბერს, მტკიცებულებების განხილვის შემდეგ დადგინდა, რომ დათუნაშვილმა დოპინგის წესები დაარღვია და სპორტსმენი 5-წლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. გარდა ამისა, მის მიერ 2021 წლის 27 მაისიდან, 2023 წლის 11 აპრილის ჩათვლით დაფიქსირებული ყველა შედეგი გაუქმებულია. დათუნაშვილმა აპელაცია შეიტანა და მხოლოდ შარდის სინჯის შეცვლის ბრალდება გაასაჩივრა. შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მედლების გადანაწილების პროცესი დროებით შეჩერებულია.

იმ შემთხვევაში, თუ დათუნაშვილს ბრალდება დაუმტკიცდება, მას სერბეთის სახელით მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს 2 მედალი და ოლიმპიადაზე მოპოვებული ბრინჯაო ჩამოერთმევა.

„იბერია 1999“ საქართველოს ჩემპიონია

საფეხბურთო კლუბი „იბერია 1999“, რომელსაც ამ სეზონის დაწყებამდე „საბურთალო“ ერქვა, საქართველოს ჩემპიონი გახდა. ლევან კორღალიძის გაწვრთნილმა გუნდმა, 35-ე ტურში „გაგრას“ სძლია და პირველობის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, მეტოქეებისთვის მიუღწეველია. ეს კლუბის ისტორიაში ჩემპიონის მეორე ტიტულია, თუმცა სჯობს, ყველაფერი თავად იხილოთ. ქვემოთ, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ყველა ჩემპიონი კლუბის ჩამონათვალს გთავაზობთ:

19 – თბილისის „დინამო“ (1990, 1991, 1991/92, 1992/93, 1993/94, 1994/95, 1995/96, 1996/97, 1997/98, 1998/99, 2002/03, 2004/05, 2007/08, 2012/13, 2013/14, 2015/16, 2019, 2020, 2022);
4 – ქუთაისის „ტორპედო“ (1999/00, 2000/01, 2001/02, 2017);
2 – „იბერია 1999“ (2018, 2024);
2 – „ვიტ ჯორჯია“ (2003/04, 2008/09);
2 – „რუსთავი“ (2006/07, 2009/10);
2 – „ზესტაფონი“ (2010/11, 2011/12);
2 – ბათუმის „დინამო“ (2021, 2023);
1 – „სამტრედია“ (2016);
1 – გორის „დილა“ (2014/15);
1 – ბოლნისის „სიონი“ (2005/06).

რა წერია და როდის გაფორმდა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია

მე-6 გვერდიდან

დაყრდნობით, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს საქართველოს ძალისხმევას დააკმაყოფილოს თავისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის ლეგიტიმური საჭიროებები, მათ შორის ჯეროვანი, ნატოსთან თავსებადი სამხედრო ძალების განვითარების გზით.

ნაწილი III: ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროებში თანამშრომლობა

ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოს, განზრახული გვაქვს, გავაფართოვოთ თანამშრომლობა სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის წახალისებისათვის, საბაზრო-ეკონომიკური რეფორმის და ლიბერალიზაციის მხარდასაჭერად, ბიზნეს-გარემოს შემდგომი გაუმჯობესებისა და ბაზარზე საქონლისა და მომსახურების დაშვების ხელშესაწყობად. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ვაჭრობას არსებითი მნიშვნელობა აქვს გლობალური ეკონომიკური ზრდის, განვითარების, თავისუფლებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობისათვის, მივესალმებით ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის სამხრეთული დერეფნის განვითარებას. ამერიკის შეერთებული შტატები ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში და შესაბამის საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში.

1. ვაღიარებთ რა, ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის გაზრდილი ინვესტიციების მნიშვნელობას, ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოს განზრახული გვაქვს, მივაღწიოთ შეთანხმებას „ორმხრივი ინვესტიციების გაფართოების შესახებ“, რათა გაიზარდოს „შეღავათების ზოგად სისტემაში“ საქართველოს დაშვება და შესწავლილ იქნესს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დადების შესაძლებლობა.

2. ამერიკის შეერთებული შტატები მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს საქართველოს ომის შემდგომ რეკონსტრუქციასა და ფინანსურ სტაბილიზაციაში. ჩვენ განზრახული გვაქვს, ერთად ვიმუშავოთ საქართველოს ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ქვეყანაში სიღარიბის შემცირებისათვის გამიზნული პოლიტიკისა და პროგრამების გასატარებლად, ჯანდაცვისა და განათლების სისტემებში ინვესტიციებისა და მდგრადი გაუმჯობესების მეშვეობით საქართველოს ყველა მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

3. ვაღიარებთ რა, გამართულად მომუშავე, ბაზარზე ორიენტირებული ენერგეტიკის სექტორის მნიშვნელობას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს განზრახული გვაქვს, შევისწავლოთ საქართველოში ენერგიის წარმოების შესაძლებლობები, გავაძლიეროთ ენერგოეფექტიანობა და გავზარდოთ ევროპული ბაზრებისკენ საქართველოზე გამავალი ენერგეტიკული ტრანზიტის ფიზიკური უსაფრთხოება. ჩვენ განზრახული გვაქვს კიდევ უფრო განვავითაროთ აზერბაიჯანსა და თურქეთთან ჩვენი ქვეყნების მრავალწლიანი თანამშრომლობა, რომლის შედეგიც იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენები და ბაქო-თბილისი-ერზერუმის ბუნებრივი აირის მილსადენები, რათა შეიქმნას ახალი სამხრეთული დერეფანი, რომელიც დაეხმარება საქართველოს და დანარჩენ ევროპას, აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან იმპორტის უზრუნველყოფით მოახდინონ ბუნებრივი აირის მომარაგების დივერსიფიკაცია.

ნაწილი IV: დემოკრატიის გაძლიერება

აღიარებენ რა, დღეისათვის საქართველოს მნიშვნელოვან მიღწევებს, ჩვენი ქვეყნები ვალდებულებას იღებენ, რათა ერთობლივად ვიმუშაოთ მედიის თავისუფლების, პარლამენტის, სასამართლო რეფორმის, სამართლის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების გაძლიერებისათვის. ჩვენ ერთხელ კიდევ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას დემოკრატიის, შემწყნარებლობის და ყველა თემის მიმართ პატივისცემის საერთო ღირებულებებისადმი და განზრახული გვაქვს, ვითანამშრომლოთ შემდეგ საკითხებში:

1. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, მზად ვართ, ვითანამშრომლოთ, რათა ხელი შევუწყოთ დამოუკიდებელ მედიას, გამოხატვის თავისუფლებას და ობიექტური ახალი ამბებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის ჟურნალისტებისა და მედიისათვის დახმარების გაწევის გზით.

2. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, მზად ვართ, ვითანამშრომლოთ სამართლის უზენაესობის შემდგომი განმტკიცების საქმეში, სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის ჩათვლით. ამ მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს დახმარება გაუწიოს ამ პროცესს, მათ შორის, მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატებისა და პოლიციის ოფიცრების ტრენინგის ჩათვლით. სამართალდამცავი და სასამართლო შტოს გაფართოებული ურთიერთობების მეშვეობით, ჩვენ ვგეგმავთ ჯეროვანი ძალისხმევა მივმართოთ ისეთი საერთო ტრანსნაციონალური დანაშაულის საფრთხეების წინააღმდეგ, როგორებიცაა ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ადამიანებით და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა, ფულის გათეთრება და კომპიუტერული დანაშაული.

3. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, ვგეგმავთ ვითანამშრომლოთ, რათა საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და საკანონმდებლო პროცესის გამჭირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდის, მთავრობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეებისა და მედიის ჩართვის გაფართოების გზით, ხელი შევუწყოთ კარგი მმართველობის გაუმჯობესებას.

4. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, პირობას ვდებთ, ვითანამშრომლოთ საქართველოში პოლიტიკური პლურალიზმის ზრდისათვის, მათ შორის, წავახალისოთ პოლიტიკური პარტიების განვითარება, ანალიტიკური ცენტრები და არასამთავრობო ორგანიზაციები, მათი მონაწილეობით სრულვჰყოთ კანონმდებლობა და გავატაროთ რეფორმები უფრო კონკურენტული საარჩევნო გარემოს შესაქმნელად.

5. ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო, ვგეგმავთ ვითანამშრომლოთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობის გასაძლიერებლად, რათა მოხდეს საჯარო პოლიტიკის შემუშავება და ანალიზი, მოქალაქეების ინტერესების მხარდაჭერა, საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა და უზრუნველვჰყოთ საჯარო მოხელეებზე ზედამხედველობა.

ნაწილი V: ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული გაცვლის გაფართოება

ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო გამოხატავენ სურვილს, მოხდეს ორი ქვეყნის ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავება და კულტურული, საგანმანათლებლო და პროფესიული გაცვლის პროგრამების გაფართოება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს დემოკრატიისა და დემოკრატიულ ღირებულებების დამკვიდრებას და გაზრდის ურთიერთგაგებას.

1. აღიარებენ რა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავების მნიშვნელობას, ორივე მხარეს განზრახული აქვს, შემდგომში ხელი შეუწყონ კულტურულ და სოციალურ გაცვლას და საქმიანობას ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორებიცაა ფულბრაიტის პროგრამა, მომავალი ლიდერების გაცვლის პროგრამა (FLEX), სტუდენტური გაცვლა (UGRAD), საკანონმდებლო განათლება და პრაქტიკა (LEAP), საერთაშორისო ვიზიტორი ლიდერების პროგრამა და ინგლისური ენის სწავლებისა და სწავლის პროგრამა.

2. ხაზს ვუსვამთ რა, ჩვენი ქვეყნების მომავლისათვის სიახლეებისა და დინამიზმის აუცილებლობას, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს განზრახული გვაქვს, უზრუნველვჰყოთ გაძლიერებული თანამშრომლობა უმაღლესი განათლების, ბიზნესისა და სამეცნიერო კვლევის სფეროში. შეერთებული შტატები გეგმავს გაამარტივოს შეერთებული შტატების ვიზის მოთხოვნის პროცესი ამერიკის კანონმდებლობის და პროცედურების შესაბამისად ისე, რომ კულტურის, განათლების, ბიზნესის და სამეცნიერო საქმიანობაში კვალიფიციურ პირებს მიეცეთ მონაწილეობის შესაძლებლობა.

3. ამერიკის შეერთებულ შტატებს და საქართველოს განზრახული აქვთ საქართველოს ომის შემდგომ გარემოში აღადგინონ დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და მედია და ხელი შეუწყონ უწყვეტ კონტაქტებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის და დანარჩენი საქართველოს მცხოვრებლებს შორის.

ხრწნადი პლასტმასი შექმნეს



სწავლულებმა, ამომავალი მზის ქვეყნიდან, შექმნეს პლასტმასა, რომელიც მთლიანად იხრწნება ზღვის წყალში და საკვებ ნივთიერებად გარდაიქმნება. მასალა შექმნილია სუპერმოლეკულური პოლიმერებისგან. ასეთი სტრუქტურის წყალობით, ის ადვილად იშლება მარილიან წყალში და არ წარმოქმნის მავნე მიკროპლასტიკს, პირიქით, საკვებ ნივთიერებად გადაიქცევა. პლასტიკი უსაფრთხოა – ის არ იწვის და არ გამოჰყოფს ტოქსიკურ ნივთიერებებს. თუკი ოკეანეში მოხვდება, ის სწრაფად დაიშლება გარემოსთვის უსაფრთხო კომპონენტებად. თუმცა, წყალში მოხვედრამდე, პლასტმასა საკმაოდ მყარია. ახალმა მასალამ, შესაძლოა, ნამდვილი რევოლუცია მოახდინოს პლასტმასის ნაკეთობების წარმოებაში. სწავლულების თქმით, ახალი მასალა ჩვეულებრივ პლასმასზე უფრო მყარია, ძვირი არ არის და მისი დამზადების ტექნოლოგიაც მარტივია.

ყავა ცეკვის სანაცვლოდ

აშშ-ში, ქალაქ მიდლბოროში მდებარე კაფე – Coffee Milano, მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც საკუთარი ინიციატივის შესახებ განაცხადეს და მომხმარებლები უფრო ბედნიერი გახადეს. ყველას, ვინც კაფეში ცეკვა-ცეკვით შევა, უფასო ყავას სთავაზობენ. დაწესებულების კამერა ყველა ცეკვასა და მხიარულობას იწერს და სოციალურ ქსელში ვიდეოებს ავრცელებს, რომლებიც უმალ, ვირუსულად ვრცელდება და მილიონობით მაყურებელი ჰყავს. კაფეს მფლობელმა, ჯოშ რაშიდმა ამ მეთოდით მოახერხა ახალი, ცნობისმოყვარე კლიენტების მოზიდვა და ერთგული მომხმარებელიც გაახარა. ჯოშის თქმით, „ყავა არ დაუმთავრდება“ და მის დაწესებულებაში, თვეში ერთხელ, „ცეკვის წვეულებები“ აუცილებლად გაიმართება.

კაფკას ხელნაწერი აუქციონზე გაიყიდა

ფრანც კაფკას ხელნაწერი მოთხრობა და მისი წერილი გერმანიაში, ჰამბურგში გამართულ აქუციონზე 286 ათას ევროდ გაიყიდა. საუბარია ხუთგვერდიან ორიგინალურ ხელნაწერზე – „პირველი მწუხარება“ და თანდართულ სამგვერდიან წერილზე, რომელიც 1922 წლით თარიღდება. წერილი ათწლეულების განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა და მხოლოდ 1983 წელს აღმოაჩინეს მისი ადრესატის, ჰანს მარდერშტეიგერის ოჯახში. მწერლის ხელნაწერი და წერილი კერძო კოლექციონერმა შეიძინა, რომელმაც სახელის გამხელა არ ისურვა.



სასმელის სიყვარული დაბადებამდე ჩნდება

სწავლულებმა დიდი ბრიტანეთიდან აღმოაჩინეს, რომ სასმელის მიმართ ადამიანის სიყვარული, შესაძლოა, უკავშირდებოდეს დედის საშვილოსნოში ტესტოსტერონის ზემოქმედებას, რაც მკვეთრ გავლენას ახდენს ბავშვის ხელების განვითარებაზე. იმის გასარკვევად, რატომ ექცევიან ადამიანები ამ მავნე ჩვევის გავლენის ქვეშ ადრეულ ასაკში, მკვლევარებმა გამოკითხვა ჩაატარეს სტუდენტებში, რამდენად ხშირად სვამენ ალკოჰოლურ სასმელს კვირის განმავლობაში. მათ შორის 169 ქალი და 58 მამაკაცი იყო. სპეციალისტების თქმით, საჩვენებელ თითთან შედარებით, გრძელი არათითი მიუთითებს მუცლადყოფნისას ტესტოსტერონის უფრო მაღალ ზემოქმედებაზე. უფრო გრძელი საჩვენებელი თითი კი ესტროგენის გავლენაზე მიანიშნებს. კვლევამ აჩვენა, რომ ვისაც უფრო გრძელი არათითი ჰქონდა, სასმელსაც მეტად მოიხმარდა. ტესტოსტერონის მაღალი დონე იწვევს ალკოჰოლის მიმართ ტოლერანტობის გაზრდას და შესაბამისად, დალევის ჩვევასაც.

დეკრეტული შვებულება ოჯახის ახლობლებისთვის

სკანდინავიაში, კერძოდ, შვედეთში, ახალშობილის მოსავლელად, დეკრეტული შვებულების აღება ახლა მხოლოდ მშობლებს კი არა, მათ ნებისმიერ ახლობელს, ბებია-ბაბუას და მეგობრებსაც კი შეეძლებათ. ახალი წესების მიხედვით, 45-დღიანი ანაზღაურებად დეკრეტში წასვლა ბავშვის არაოფიციალურ მეურვესაც შეეძლება. ქვეყნის მთავრობაში მიიჩნევენ, რომ სიახლე შვედებს დაეხმარება, გამოძებნონ ბალანსი სამსახურს, ოჯახსა და პირად ცხოვრებას შორის. კერძოდ, მშობლებმა, რომლებიც ბავშვებს მარტო ზრდიან. თუ მარტოხელა მშობელია, მას შეუძლია გასცეს მისთვის კუთვნილი 480-დღიანი შვებულებიდან 90 დღე. დახმარების მისაღებად „დროებითმა მომვლელმა“ უნდა გააფორმოს დაზღვევა ბავშვის მოვლაზე. შვედეთმა, 1974 წელს, მსოფლიოში პირველმა შემოიღო ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება დედებისთვის, 1995 წელს, რამდენიმეთვიანი დეკრეტი მიაკუთვნეს მამებსაც.

დავალების დასაწერად პოლიციის დახმარება ითხოვა

აშშ-ში, ვისკონსინის შტატში, 10 წლის ბავშვმა პოლიციაში დარეკა და მათემატიკის დავალების შესრულებაში დახმარება ითხოვა. ამის თაობაზე სოციალურ ქსელში ინფორმაცია ქალაქ შავანოს შერიფისგან გავრცელდა. 911-ზე ზარს დისპეტჩერმა უპასუხა, სადაც ბავშვი მათემატიკაში დახმარებას ითხოვდა. პატარას თქმით, ოჯახში ვერავინ დაეხმარა, რადგან არ არიან საგანში ძლიერებიო. დისპეტჩერმა მას დახმარება შესთავაზა, თუმცა სამწუხაროდ, მათემატიკა არც მისი ძლიერი მხარე აღმოჩნდა.

მესი იტალიურ ღვინოს ჩამოასხამს

სახელგანთქმულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა, ლიონელ მესიმ ღვინის ჩამოსხმა დაიწყო. მან ორი ხაზი ჩაუშვა, სიმბოლური სახელწოდებით – 10 GOAT. ინფორმაცია სპორტსმენმა „ინსტაგრამის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა. მესის ღვინოს შვეიცარიული კომპანია MM Winemaker აწარმოებს, რომელიც იტალიის რეგიონებში – კამპანიაში, აპულიასა და სიცილიაზე ოპერირებს. თეთრი ეტიკეტით სიცილიური „სირას“ სახეობის ღვინოა, შავი ეტიკეტით კი აპულიაში წარმოებული „პრიმიტივოა“ ჩამოსხმული. თითოეული ბოთლის ფასი 60.32 ევროა და ის, ჯერჯერობით, მხოლოდ მწარმოებლის ვებ-გვერდიდან იყიდება. „ეს ორი პრემიუმ-ღვინოა საკოლექციო ბოთლებში. უკვე დააგემოვნეთ ისინი?“ – მიმართავს ფეხბურთელი თაყვანისმცემლებს. მესის შვეიცარიულ კომპანიასთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვს – მათ ერთობლივ პროექტებს შორის არის წითელი და თეთრი ღვინოები ვენეტოდან, სიცილიური „გრილო“, „ნერო დ’ავოლა“ და „პროსეკო“.

ინფარქტის მოახლოებას დროულად შეიტყობთ

გერმანელმა სწავლულებმა, ჰამბურგის უნივერსიტეტიდან, პორტატული რადარი შექმნეს, რომელიც რამდენიმე წამში, უკონტაქტოდ აფიქსირებს დარღვევებს სისხლძარღვთა სისტემაში და ადამიანს ინფარქტის, ან ინსულტის მოახლოებაზე დროულად აფრთხილებს. მოწყობილობა მცირე, სიგარეტის კოლოფის ზომისაა და რთულ სენსორულ სისტემას წარმოადგენს. ამ აპარატის გამოყენება სახლშიც შეიძლება. ადამიანის ჯანმრთელობის უკონტაქტო მონიტორინგის დროს, პატარა სენსორები ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების მაჩვენებლებს აფიქსირებს და მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში, განგაშის სიგნალს რთავს. ამ დროს ადამიანი არ უნდა დაელოდოს შეტევას და სასწრაფო დახმარება დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს. აღსანიშნავია, რომ ინფარქტი და ინსულტი მსოფლიოში გულსისხლძარღვთა ყველაზე ხშირი დაავადებებია.

ფრჩხილების ბალზამი კიბოს წინააღმდეგ

ვინ იფიქრებდა იმას, რომ სიმსივნით დაავადებული ადამიანები, ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ჩვეულებრივი ბალზამის წყალობით, მნიშვნელოვნად შეიმსუბუქებდნენ ცხოვრებას. ასეთ ბალზამში არსებული ნატურალური ზეთებისა და მცენარეული ექსტრაქტების წყალობით, შესაძლებელი ხდება, ქიმიოთერაპიის შემდგომი, ზოგიერთი გართულება შეიმსუბუქონ. ამ სპეციალური ფორმულის საფუძველი, რომელიც კლინიკა Addenbrooke's Hospital-ის სპეციალისტებმა შეიმუშავეს, სამკურნალო ზეთები და მცენარეებია. ხშირად, ქიმიოთერაპიას ისეთი არასასურველი შედეგები მოსდევს, როგორიც არის თმის ცვენა, ფრჩხილების აძრობა და ზოგჯერ მათ ადგილას ჩირქოვანი წყლულების გაჩენა, რასაც თან უსიამოვნო სუნი სდევს. ასეთ პაციენტებს სირთულეები ექმნებათ ელემენტარული ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრაშიც. სწავლულები ამტკიცებენ, რომ ასეთ ავადმყოფებს შეუძლიათ, ფრჩხილებისთვის განკუთვნილი ბალზამი გამოიყენონ, რომლის რეცეპტიც თავად მოიფიქრეს – მასში შედის ნატურალურ კომპონენტებზე დამზადებული ოთხი ზეთი, რომელთა მოქმედებითაც მიიღწევა ანტიბაქტერიული და ანტისოკოვანი ეფექტი. სპეციალური ბალზამი ამჟამად გამოცდას გადის 30 პაციენტზე, რომლებიც ქიმითერაპიის კურსს იტარებენ.

სტრესს მარილი მოგიხსნით

ნატრიუმი, რომელსაც მარილიანი საკვები შეიცავს, ჰორმონ ანგიოტეზინს ახშობს, რომელიც შფოთვას უკავშირდება. ამერიკელი სწავლულები, ცინცინატის უნივერსიტეტიდან, საკუთარი კვლევების საფუძველზე ამტკიცებენ, რომ მარილიანი კერძები ადამიანს სტრესის დაძლევაში ეხმარება. მათი თქმით, ასეთ საკვებში ნატრიუმი ახშობს ანგიოტეზინს და ხელს უწყობს ჰორმონ ოქსიტოცინის გამომუშავებას, რომელიც ორგანიზმზე დამამშვიდებლად მოქმედებს და მთლიანობაში, ადამიანის მდგომარეობა ჰარმონიული ხდება. მართალია, კვლევა ლაბორატორიულ თაგვებზე მიმდინარეობდა, მაგრამ სწავლულები ირწმუნებიან, რომ ეს პროცესები ადამიანშიც ანალოგიურად მიმდინარეობს.

„ზარამ“ პირველი კაფე გახსნა

ტანსაცმლისა და აქსესუარების ცნობილმა ბრენდმა Zara-მ თავისი პირველი კაფე გახსნა. დაწესებულება, სახელწოდებით – Zara by Castro, პორტუგალიის დედაქალაქში, ლისაბონში, როსიუს ცენტრალურ მოედანზე მდებარე ბრენდის მაღაზიაში გაიხსნა, რომელიც მსოფლიოში სიდიდით მეორეა. სიტყვა Castro კაფეს სახელში შემთხვევით არ არის მოხვედრილი: Zara-სთვის ტრადიციული პორტუგალიური ნაცხვარი „პასტელ დე ნატა“, საკონდიტრო Castro Atelier-ში მზადდება, რომელიც ამ დესერტზეა სპეციალიზებული. ტკბილეული მომხმარებელთან სოპეციალური დიზაინის თეფშებით მიაქვთ.

თმაზე წვრილი სპაგეტი დაამზადეს

დიდ ბრიტანეთში, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის სწავლულებმა, მსოფლიოში ყველაზე წვრილი სპაგეტი შექმნეს – მისი სისქე ადამიანის თმის ღერზე 200-ჯერ ნაკლებია. სპაგეტი მცენარეების გამომუშავებული სახამებლის ნანობოჭკოებისგან დაამზადეს. ასეთი ნანობოჭკოების გამოყენება შეიძლება ჭრილობების შესახორცებელი სახვევებისთვის. ეს ფორებიანი მასალა კარგად სუნთქავს და იწოვს ტენს, მაგრამ არ ატარებს ბაქტერიებს. თუმცა, მცენარეული ნედლეულისგან სახამებლის მოპოვება და მისი გაწმენდა არაპრაქტიკულია, ამის გამო, მკვლევარებმა ჩვეულებრივი ფქვილი აიღეს და მისგან გააკეთეს 372 ნანომეტრის სისქის ძაფები. ახალი „ნანოპასტა“ ზომით 2 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე ნანობოჭკოების ხალიჩაა, ამის გამო მისი დანახვა შესაძლებელია, თუმცა ძაფების სისქის გაზომვა მხოლოდ ელექტრონული მიკროსკოპის მეშვეობით მოახერხეს.

ტურისტებს ტანკში ეპატიჟებიან

ინგლისის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე თვალწარმტაც სოფელ ფრისკნიში უჩვეულო სასტუმრო გახსნა, რომელიც ნამდვილ სამხედრო ჯავშანმანქანაშია განთავსებული. ამ უნიკალურ ადგილზე ღამის გასათევის დაჯავშნა Airnbnb-ის მეშვეობით არის შესაძლებელი. სასტუმროს Tank Samaritan ჰქვია. ის სამხედრო სანიტარული მანქანის ბაზაზეა შექმნილი. ტანკის შიგნით, მყუდრო აპარტამენტებია მოწყობილი. საკაცეების ნაცვლად, პატარა დივნებია, რომლებიც ღამით, ორსაწოლიან საძინებლებად გადაიქცევიან. მანქანის ინტერიერი ბალიშებით არის გაფორმებული, რომელზეც პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ბრიტანული ტანკებია გამოსახული. აპარტამენტებში არის ტელევიზორი, ჩაიდანი, ტოსტერი, მცირე გაზქურა და კარადა. საცხოვრებლის გაფართოებისთვის, ჯავშანმანქანას დასაკეცი, გადახურული მისაღებიც აქვს – მაგიდითა და სკამებით. იქვეა „გრილი“ და „კაზანი“ – საჭმლის მოსამზადებლად. საპირფარეშო და საშხაპე ცოტა მოშორებით, წყალსატევთან არის მოწყობილი. ამ უჩვეულო ოტელში ღამის გათენება ორ ადამიანს 80 გირვანქა სტერლინგი დაუჯდება. მათ შეუძლიათ, თან შინაური ცხოველებიც წაიყვანონ, ამ შემთხვევაში, ფასი 20 გირვანქით იზრდება.

დეპუტატი ჰალსტუხის გამო გარიცხეს

ახალი ზელანდიის პარლამენტში, დეპუტატ მამაკაცებს, განხილვების დარბაზში კითხვების დასმა მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, თუკი ჰალსტუხი უკეთიათ. მისი არქონის გამო, მაორის ტომის წარმომადგენელი გარიცხეს პარლამენტიდან. სპიკერმა მას რამდენჯერმე შეუშალა ხელი შეკითხვების დასმისას, ბოლოს კი ის გააძევეს დარბაზიდან. გამოგდებული დეპუტატი ჰალსტუხს „კოლონიალურ ყულფს“ ეძახდა და მის ნაცვლად, მწვანე ფერის ქვის კულონს ატარებდა. პარლამენტში თავისი პირველი გამოსვლისას, მაორიმ განაცხადა: „მომხსენით ეს ყულფი კისრიდან, რომ ჩემი სიმღერა ვიმღერო“. ქვეყნის პრემიერი აცხადებს, რომ წინააღმდეგი არ არის, თუკი ამ წესს გააუქმებენ, თუმცა პარლამენტის უმრავლესობამ არ მოისურვა უსალსტუხო განხილვები.

მამაკაცს საკეისრო გაუკეთეს

აშშ-ში, 34 წლის მამაკაცი აპირებს, სასამართლოში უჩივლოს საავადმყოფოს, რადგან მას შეცდომით, საკეისრო კვეთა ჩაუტარეს. როგორც ცნობილი გახდა, ლესლი მორგან უაითს ჭარბწონიანობა აწუხებს. გასულ კვირას, მან სასწრაფო დახმარება გამოიძახა, რადგან მკერდში ძლიერი ტკივილი იგრძნო. უაითი სენტ-მეთიუზის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს, სადაც ის დაუყოვნებლივ მოათავსეს სამშობიარო განყოფილებაში და მაშინვე ანესთეზია გაუკეთეს. „ნუთუ, ჩემი გენიტალიები ვერავინ შენიშნა?“ – იკითხა გამოფხიზლებულმა და მომხდარით აღშფოთებულმა პაციენტმა. მისი მტკიცებით, საკეისრო კვეთიდან, ლამის ნახევარი საათი იყო გასული, ვიდრე ექიმები, საბოლოოდ, გულის შეტევის დიაგნოზს დასვამდნენ.

„კოსმოსური სასამართლოს“ შექმნიან

უახლოეს მომავალში, დუბაიში, „კოსმოსური სასამართლო“ შეიქმნება, რომელმაც დედამიწის მიღმა წარმოქმნილი კომერციული დავები უნდა დაარეგულიროს. შეგახსენებთ, რომ არაბთა გაერთიანებული საემიროები პირველი არაბული ქვეყანაა, რომელმაც მარსზე ზონდი გააგზავნა. ქვეყნის ხელისუფლება მომავალშიც აპირებს, აქტიურად განავითაროს კოსმოსური სექტორი, მათ შორის, პლანეტათშორისი ტურიზმი. კოსმოსური სამართალი რეგულირდება საერთაშორისო კონვენციებით, რომელიც გაერო-მ 1967 წელს მიიღო. დღეისთვის, მისი წევრია მსოფლიოს 110 ქვეყანა. ადრე კვლევითი მისიები თუ მხოლოდ სახელმწოფო სააგენტოების დონეზე ხორციელდებოდა, ახლა მასში უამრავი კერძო კომპანიაც არის ჩართული. „კოსმოსური სასამართლო“ კი ჩვენი პლანეტის მიღმა წარმოშობილ დავებს გადაწყვეტს.

სარფიანი პროფესია – ნაძვის ხის მომრთველი

თურმე, არსებობს ასეთი პროფესიაც და ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი ამ საქმეში, ბობ პრანგაა – საშობაო ნაძვის ხეების სტილისტი. 30 წლის წინ, საშობაო არდადეგებზე, ბობი ერთ-ერთ მაღაზიაში დროებით მუშაობდა. მასთან ცნობილი მსახიობი მივიდა და სთხოვა, მოეძებნა ადამიანი, ვინც მას ნაძვის ხეს მოურთავდა. ბობმა ეს საქმე საკუთარ თავზე აიღო და გაუმართლა. მოგვიანებით, საქმიან პარტნიორთან ერთად, მან შექმნა კომპანია Dr. Christmas. მისი ერთ-ერთი პირველი კლიენტი კეტი ჰილტონი იყო – მსახიობი და დიზაინერი, რომელმაც პრანგა ლოს-ანჯელესის ბომონდს გააცნო. მას შემდეგ, ბობს დღესასწაულისთვის ჰოლივუდის უამრავი ვარსკვლავის ნაძვის ხე მოურთავს. მისი მომსახურება 2.5 ათასიდან 80 ათას დოლარს აღწევს. მისი უპირატესობა ისიც არის, რომ კომპანია საკუთარ თავზე იღებს საახალწლო დეკორაციის დემონტაჟსაც და მუშაობს არა მხოლოდ ვარსკვლავებთან, არამედ, ჩვეულებრივ კორპორატიულ კლიენტებთანაც.

მგზავრობის საფასური – თაფლაკვერებით

ფინეთის მცხოვრებლებს, მოახლოებული შობის წინ, შეუძლიათ სამგზავრო ბილეთებზე ეკონომია გააკეთონ – ავტობუსით მგზავრობის საფასურს ჯანჯაფილის თაფლაკვერებზე გაცვლიან. მთავარია, ტკბილეული სახლის პირობებში იყოს დამზადებული. „ჯანჯაფილის ბილეთები“ – ეს ერთგვარი მეთოდია, მადლობა გადავუხადოთ ჩვენს კლიენტებს გასული წლისთვის და შევახსენოთ, რომელი პერიოდია ყველაზე უფრო გადატვირთული ავტობუსით მგზავრობისთვის, – აღნიშნავს ერთ-ერთი სატრანსპორტო კომპანიის, Matkahuolto-ის დირექტორი. მისი თქმით, უფასო მგზავრობისთვის აუცილებელია, მგზავრებმა კომპანიის სალაროში თაფლაკვერი აჩვენონ. მძღოლისთვის წარდგენილი ტკბილეული კი ბილეთის რანგში არ განიხილება. როგორც სატრანსპორტო კომპანიაში აღნიშნავენ, აქცია მხოლოდ ერთდღიანი იქნება. პირობების მიხედვით, ბილეთად მხოლოდ ის თაფლაკვერები ჩაითვლება, რომლებზეც საწყისი და საბოლოო პუნქტები იქნება აღნიშნული. თუმცა, აქციაში მონაწილეობა შეზღუდული იქნება, რადგან თაფლაკვერებით მგზავრობას მხოლოდ 500 ადამიანი შეძლებს. საკუთარი ნამცხვრის მირთმევა კი მათ ავტობუსის რეისის დროს, ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში შეეძლებათ.

სასტუმრო ახალგაზრდა მშობლებისთვის

უნიკალური ოტელი გაიხსნა სინგაპურში, რომელიც ახალშობილებისა და მათი მშობლებისთვის არის განკუთვნილი. ის ოთხი შვილის მამამ გახსნა, რომელმაც გადასარევად იცის, რა სურთ მშობიარობის შემდეგ დედებს და მამებს. ჩვეულებრივ, მათი ყველაზე დიდი სურვილი გამოძინებაა. ამასთან, წინააღმდეგნი არ იქნებიან, თუკი მათ ახალშობილის მოვლაში ვინმე მიეხმარება და საჭმელსაც გაუკეთებს. ამ ყველაფრის მიღება მათ შეუძლიათ მდიდრულ სასტუმროში Kai Suites, თუმცა მომსახურების საფასური არც ისე „მორიდებულია“. ოტელში ორკვირიანი ცხოვრება 13 650 დოლარი დაჯდება. თუმცა, სასტუმროს მფლობელის თქმით, ეს ამად ღირს. ბედის ირონიით, ოტელი ყოფილი სამშობიაროს ადგილას არის აშენებული.

კითხვა სასარგებლოა ორგანიზმისთვის

წიგნების კითხვა მეტად სასარგებლო საქმიანობაა ადამიანის ორგანიზმისთვის, – ამის შესახებ ამერიკელმა სწავლულებმა განაცხადეს, იალეს უნივერსიტეტიდან. მათ გამოკვლევა ჩაატარეს და დადგინეს, რომ კითხვა სიცოცხლეს ახანგრძლივებს. მკვლევართა თქმით, ის ადამიანები, რომლებიც წიგნების კითხვას კვირაში 3.5 საათს მაინც უთმობენ, ნაადრევი სიკვდილის რისკს 23%-ით იმცირებენ მათთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ კითხულობენ. წიგნები გვიხსნის სტრესისგან, რომლისგანაც იწყება დაავადებათა დაახლოებით 60%, იწვევს ინსულტს და გულსისხლძარღვთა დაავადებებს. გარდა ამისა, კითხვა ანვითარებს მეხსიერებას და კოგნიტურ ფუნქციებს. ამასთან, იმ ადამიანებს, რომლებიც წიგნებს კითხულობენ, კარგადაც სძინავთ, რასაც ვერ ვიტყვით კომპიუტერსა და სმარტფონებს მიჯაჭვულებზე. კითხვა ანვითარებს სოციალურ უნარებს – მკითხველები უკეთესად გრძნობენ და ესმით, რაზე ფიქრობენ სხვები.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.